

XXXI 1920 + 10.11.12. XXXI

ଓର୍ବଲ ପ୍ରକାଶନ
କୋମିଟି ପରିଷଦ

ଶ୍ରୀମତୀ



ଓର୍ବଲ ପ୍ରକାଶନ, ବ୍ୟାପକିଆରୀ, ରୂପକାଳୀନ. 1920 ଫ.

შინაარსი

შულებალ „ჯაჭვილისა“

I.	ჩვენებური სპარსელის რეგაზი, სურათი	2
II.	ახალ წელს დილით ლექსი მიმქრალისა	3
III.	დარღიმანდი თავვი—ტასოსი	4
IV.	უთაურობის ბრალია, —ეკ. გაბაშვილისა	6
V.	ზანტრი ფუტკარი. —თარგ. ტასოსი	9
VI.	მურზილკას თავვადასავალი ანუ ჯუჯათა სამეფო— ნორა დიასამიძისა	13
<hr/>		
VII.	საალერსო სიმღერა,—მიმქრალისა	23
VIII.	ფითრი,—ელექტრი	24
IX.	სევარხანიმ და შეგჩიტო, —ზღაპარი ქეთო მირია— ნაშეილის ჩაწერილი	28
X.	ქალალდის წარმოება,—ალფასი	35
<hr/>		
XI.	მახარობელი, —ლექსი შიო მღვიმელისა	39
XII.	ტყე მიიცვალა,—ცქვიტისა	41
XIII.	ყვითელი ეზოს ძალის ისტორია, —(ტომბსონ სეტონისა) თარგ. ე. სუნდაძისა	43
XIV.	არტაბანის შესაწირავი,—(თარგ.) ან. წერეთლისა .	55
XV.	სარჩევი 1919 წ. უურნალ „ჯაჭვილი“-სა	62

შ უ ლ ნ ა ლ ი

1920 წ.

ჯაჭვილი

1920 წ.


ხელის მომზადების საუზრადლებოთ

ითილე მეოთხე გვერდზე.

N7.

5-40

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ
କମିଶନ୍ ଲିମିଟେଡ



ବାହୁଦାରୀ

ବାହୁଦାରୀ

ଶୁର୍ଣ୍ଣାଳୀ

ଦିତୀର୍ଥୀ ମହିନୀ ଫ୍ରାଙ୍ଗିଲାଇ
ରାତରିର୍ଥୀ, ରାତରି ପାନାଟ!

୧. ୧.

ଅନ୍ତିମବ୍ୟାରୀ, ନାୟବ୍ୟାରୀ, ରୂପବ୍ୟାରୀ.

ପାଠୀଜାଣି ପାଠୀଜାଣି ପାଠୀଜାଣି.

ସାହେଲମ୍ପିନ୍ତା ସର୍ବାମିଳା, କାଲାଖିବନ୍ଦିଳ ପ. 6.

954



օյսուրո և առևտունու ոչածո.

1-11-11
225.




აზე გაძოხატულია მიწა, ოკეანები, ზღვები, მთები და მდინარეები და ქალაქები.

— რა საკუთრეველი რამ არის — გაიკვირეს ჯუჯებმა — განა დედამიწა მრგვალია?

— რასაკუთრეველია, მრგვალია — უნასუსა ვიცაია. — თუ გინდათ მე გიჩვენებთ იმ ქვეუნებს, სადაც ჩვენ გიუბჭით.

— გვიჩვენე! გვიჩვენე! — წამოიევირეს ჯუჯებმა.

ვიცაია მარდათ ახტა გრძელ სკამზე, მაგრამ მაინც ვერ მისწვდა გლობუსს. მაშინ აიღო წიგნები, ზედიზედ დაალაგა და ზედ შედგა. ვიცაია



ამავათ დაიწეო ჩინეთის, ინდოეთის, ეგვიპტის, იტალიის, შვეიცარიის და გერმანიის ჩვენება. გრძელ სკამზე ამგრძენ აგრეთვე ექიმი, თვალშეეტია და ხტუნია. არვიცაიაც ცდილობდა სკამზე ასვლას, მაგრამ მას მარტივი გადასახადი მოჰყოფდა.



რამ კერ მოახერხსა. ვიცაიას უნდოდა ქწვენებინ შემოვარდა სეთი, რომ ამ დროს შემოვარდა მურზილება:—თავი დაანებეთ გლობუსს, მეორე კლასში უფრო კარგია, იქ კათედრაც არის, პარტებიც!

ჯუჯები შეცვიდვენ მეორე ოთახში და მაშინვე პარტებზე ჩამოსხდენ. დაიტაცეს წიგნები და დაიწევეს ხმა მაღლა კითხვა. ვისთვისაც პარტებზე ალაგი აღა არ იქო იატაკზე დასხდენ. მასწავლებლის კათედრას ზედაც ავიდა რამდენიმე კაცუნია. სხვათა შორის— ექიმი, დიდი წევბლით, რომელიც უოველ წუთს ხან ერთ კაცუნას ხვდებოდა, ხან მეორეს. მურზილებაც კათედრაზე ამვრა და პატივცემულ მასწავლებელს ზედ ზურგზე შეახტა. ამის გულისთვის ის დაავენეს მაღლა სკამზე და თავზე ქაღალდის ბოსოხი ჩამოაცვეს.

ჯუჯები სიცილით იხოცებოდენ, როცა კი მურზილებას შეხედავდენ. დიდხანს გაგრძელდა გაკვეთილი და მხოლოდ მაშინ, როდესაც საღამოს სარი დარეკეს, ჯუჯებმა მიატოვეს წიგნები და გაეშურენ მეორცხლებისკენ. მაგრამ დახეო უბედურებას! მერცხლები გაფრენილივენ.

ზღვაში ბანაობა და პარიზში გამგზავრება.

მერცხლების გაფრენის შემდეგ ჯუჯებმა გადასწევიტეს, რომ ბევრი ვიცელქეთ, ბევრი რამ ვნახეთ და ასელა სამშობლოში დაბრუნების დრო არისო, მარტო მურზილებას არ უნდოდა დაბრუნება.

— ჩვენ საფრანგეთის მასლობლათ კართ, ტიროვდა ის,—იმ ქვენის მასლობლათ, საიდანაც მთელ დეამიტის ზურგზე ვრცელდება მოდები. მე მაღიან მინდა ვნახო, იქ როგორ იცვამენ. ჩემი ტანისამოსი

სრულიათ გაცვდა. წავიდეთ საფრანგეთში, ეს მწერი საუკრადღებო ქვეყანაა! დიდსანს ეხვეწებოდა მურზილუკა მმებს, მაგრამ ისინი უერადღებასაც არ აქცევდენ.

ბოლოს როგორც იუო დასთანხმდენ. მხოლოდ იმ პირობით, რომ იქიდან პირდაპირ სამშობლოში უნდა დაბრუნებულივენ.

ცოტა შესვენების შემდეგ ჯუჯები გაემგზავრენ საფრანგეთში. მრავალი ქალაქები შემოიარეს ჩვენსა ჯუჯებმა და ბოლოს მივიდენ ერთ ზღვის პირას მდებარე ქალაქში, რომელიც მკურნავი აბანოებით იუო განთქმული. ეს მშვენიერი, მთლათ ეჭვილებში ჩაფრდული კუთხე იუო, სადაც ეოველ წლიურათ აუარებელი სალხი იკრიფებოდა. კაცუნიებიც ამ ქალაქში სწორეთ იმ დროს მოხვდენ, როცა ეველაზე უფრო სასარგებლოა ბანაობა. ისინიც, რასაკირველია, სხვებს არ ჩამორჩენ. მურზილკამ შეამჩნია, რომ ეველას საბანაო ტანისამოსი კცგა და ურჩია მმებს ისვთივე ტანისამოსი შეეძინათ. მაგრამ სად უნდა ემოვნათ? მთელ დღეს დამკრებოდენ ჯუჯები ქალაქში და ბოლოს მიაგნეს ერთ სათამაშოების მაღაზიას, სადაც სხვა სათამაშოებ შორის იუო ტიკინების ტანსაცმელი. მართალია ეს ტანისამოსი მათთვის დიდი იუო, მაგრამ თუ აიკეცავდენ კალთებს და დაიმაკრებდენ, შეიძლებოდა ჩაწმა. შევენიერ საქორწილო კაბებს კოვთის მაგივრათ იცვამდენ, ახალმოდის ქუდები საბანაო ქუდებათ აქციეს და ბოლოს ისეთი სასაცილოები გახდენ, რომ როცა ერთმანეთს შეხედავდენ სიცილით კვდებოდენ. მათ საჩქაროთ გაირბინეს ქუხები და ზღვის საპირს მიუახლოვდენ. მათ წინ გადაშლილი იუო წენარი, დიდებული და ანგარასავით ზუფთა ზღვა.



ჯუჯები მაშინვე ჩაცვივდენ ზღვაში და დაიწევს ცელქონა და თამაში. მათ არ ეშინოდათ წელისა, რადგან იმისთანა წელები ეცვათ, რომლებიც წელში არ იძირებოდენ. წამდაუწუმ ისმოდა სიცილი, ევირილი. ტირილი, მაგრამ ეს მხოლოდ თევზებს და ტალღებს ესმოდა.

— ვამე, ზღვაში წამართვა ჩემი კაბა! ჩემი შარვალი! ჩემი ფეხსაცმელები! ისმოდა აქეთიქიდან.

— ჩემი მშვენიერი ქუდი, ჩემი ცილინდრიც! — წამოიყვირა მურზილკამ, რომელმაც თავის ქუდი ბანაობის დროსაც კი არ მოიშორა. თამაშობით მოქანცული ჯუჯები დაბრუნდენ ჭალაში, სადაც სურნელოვან უვავილებ შორის გაათიქს დამე. დილით ადრე გაიღვიძეს თუ არა გასწიეს ქალაქისაკენ სახეტიალოთ. მათი ურაღდება მიიჩერო რკინის გზის სადგურშა. სალხი ფარიფუცობდა, ცდილობდენ დაეჭირათ კარგი ალაგები, რადგანაც რამდენიმე წამის შეძლებ მატარებელი გაემგ საკრებოდა ხრდილოეთისკენ. ჯუჯები მაშინვე აცოცდენ მატარებლის სახურავზე და მშვენივრათ მოეწევენ. მალე გაისმა მესამე ზარის ხმა. მატარებელი გაქანდა მოელი თავისი სისწრაფით და თან გაიუოლა ერთი ციცქნა მოგზაურები. მრავალი ველები და ტექები რჩებოდა მათ უკან. უოველ სადგურზე მატარებელი ცოტა ხნით ჩერდებოდა და მიისწრაფებოდა სულ წინ და წინ. ერთ ღამეს ჯუჯებმა დაინახეს ნისლში გახვეული უზარმაზარი ქალაქი, მაღალ შენობებით და მეგლებით. ვიცაიაშ შეატეობინა ამხანაგებს, რომ ისინი საფრანგეთის სატახტო ქალაქ — ზარისს უასლოვდებიან. მართლაც მატარებელი მალე გაჩერდა. ჯუჯები ჩამოხტენ დედა-

მიწაზე. ისეთი ჭედვა იყო, რომ ძლიერს დახმარებოდა თავი. მიუხედავათ იმისა რომ საკმაოთ გვიან იყო, ქუჩები სავსე იყო სალხით, ძლიერი სინათლე დამეს ნათელ ღღეს ამსგავსებდა. ჯუჯები მიჰევენ სალხის ტალღას და დაიწევს სეირნობა ბულვარზე. უცბათ ეველას მოაგონდა მურზილკა. ურავინ ვერ შეამჩნია როგორ გაჰქირდა ის. ჯუჯები მშვენივრათ განათებულ მაღაზიის წინ იდგენ და აღარ იცოდენ რა ექნათ. ამ დროს გაისმა ნაწნობი სმა და მაღაზიიდან გაუმოქმდა თვითონ ამ ალიაქოთის ამტესი, მთლად დატვირთული ახალ-მოდის მატერიებით.

— აი ეს ფრაკისთვის, ეს ჟილეტისთვის ეს, საჸალტოვე — ხურისულებდა ის და თან უჩვენებდა პატარა ნიმუშებს, რომლებიც ალბათ ნოქარმა გადაუარა იატაკზე. ჯუჯებმა ლამე გაათიეს ერთ ბაღში და განთადისას კვლავ შეუდგენ ქალაქის დათვალიერებას, რომელიც ღღის სინათლეზე გაცილებით უხეირთ იყო, კიდრე დამე. მდინარე სენაც კი, რომელზედაც გამენებულია პარიჟი, მაინც და მაინც მაღიან ლამაზ და განივრათ არ მოეჩვენათ.

შეჯიბრება და ველოსიპედებზე სეირნობა.

— ახალი ამბავი მმებო, მე ფრიად საუკრადღებო რამ გავიგე, აღვიმებდა ჯუჯებს ჩუმი-მისანი.

ის ეველაზე აღრე აღგა და წავიდა სასეირნოთ. სწორეთ ამ დროს ქუჩებში განცხადებებს აკრავდენ, რომელზედაც ღიდი ასოებით ეწერა: „ღღეს დილით ქალაქ გარეთ იქნება ველოსიპედების შეჯიბრება.“

— ეს უნდა ვნახოთ! — შეჰქვირა ჩუმა-მისანმა და გამოეშურა დანარჩენ ჯუჯებთან.



— ადექით ჩქარა, თორემ ვერ მოვასწრებთ — ანდება
ვიძებდა ის მმებს.

თვალის დახამსამებაზე ჯუჯები მზათ იუვენ, მურა
ზილკამაც კი მათთან ერთათ მოასწრო ჩაცმა. მალე
მივიღენ კაცუნიები დანიშნულ ალაგს, სადაც შევიბრე-
ბა უნდა მომხდარიელ, ავიდენ ზატარა გორაკზე, საიდა-
ნაც კარგათ შეეძლოთ თვალეურის დევნება. ნიშნის მი-
ცემისთანავე 20-ზე მეტი ველოსიტეტი გაქანდა წინ.

— ესრა ამბავია — შეპევირა ქქიშმა, რომელიც დიდი
დაკვირვებით ადევნებდა თვალს ველოსიტეტებს — მიდიან
უცხენოთ და უორთქლოთ დარა ჩქარა, როგორც ჩიტები.

— ნეტა ჩვენც მოგვცა ასეთი ველოსიტეტები სა-
მგზავროთ — შენიშნა ტრიალამ.

— რასაკვირველია, კარგი იქნებოდა — უძასუხა
ვიცაამ.

— უური დამიგდეთ, რა მოვიგონე — გაისმა ჩუმი-
მისნის ხმა — როდესაც შევიბრება გათავდება ჩვენ
ავიღოთ რამდენიმე ველოსიტეტი და წავიდეთ სასლში.

— ვაშა! ვაშა! რა კარგი მოვიქრებაა — შეპევი-
რა ველამ ერთხმად.

— მე ვევლაზე წინ ვიქნები და ამიტომ გთხოვთ
დამითმოთ ცალკე ველოსიტეტი — შენიშნა მურზილვაშ.

— ეს ვევლაფერი კარგი — სთქვა ქქიშმა, მაგრამ მე
მეშინა, რომ უმეტესი ნაწილი ველოსიტეტების გა-
ფუჭებული იქნება შევიბრების გამო.

— ეგ არაფერია — შეპევირა ჩუმა-მისანმა — აქვე
გვერდით არის სახელოსნო, ჩვენ ვევლაფერს შევას-
წორებთ. ჯუჯები სწორეთ ასე მოიქცენ. / როცა შე-
ჯიბრება გათავდა და ველოსიტეტები საწყობში დაა-
ბინავეს, კაცუნიები შექრენენ შიგ და ნელანელა დაუ-

წეს მათ შეკეთება. დილისთვის ეკელა ველოსიტეტისა და მათ იუო.

— როგორ დავეტევით ეკელანი, იკითხა ვიცაიამ, როცა ეკელაფერი მზათ იუო; მართლაც ველოსიტეტი დები ცოტა ადმოჩნდა ჯუჯებისთვის. მურზილეკამ ურჩია 5 კაცუნია დამჯდარიუო ერთიერთმანეთის ზურგზე, მაგრამ მისი წინადადება უარჲევეს. ფიქრობდენ ჯუჯები, ფიქრობდენ, მანამ ტუჩკურდღელაშ არ მოიგონა ერთი ხერსი. მან სამ ჩამწკრიებულ ველოსიტედებში გაუვარა გრძელი ჯოხები. თითო ამოსთანა ჯოხზე დაეტია 15 ჯუჯა. დანარჩენები მოკიდენ თვლებს და ველოსიტედის სხვა ნაწილებს. სიმღერით და ხმაურობით გაემურნენ ჯუჯები თავიანთ გამოგონილ მატარებელზე. პატარა ხელებით სწრაფათ მიაქროლებდენ ჯუჯები ველოსიტედებს. მაღვე ქალაქიც დაიმალა და კაცუნიები გაჩნდენ მარა გზაზე. გზაში იშვიათათ ჩერდებოდენ. ისიც იმიტომ რომ ცოტა დანაურებულიერენ. მიდიოდენ ხულ წინ და წინ. კიდრე ერთ მშვენიერ დღეს არ მიადგენ სრუტე პარეულეს, რომელიც ჭერის საფრანგეთს და დიდბორიანეთს.

— ვაშა! ვაშა! — ევიროდა ტრიალა — ჩვენ საფრანგეთის საზღვარზე ვართ.

— ვაშა! — იგრიალეს სხეუბმაც.

— შებო. ახლა ჩვენ ინგლისთან ორ ნაბიჯზე ვართ. მოდი წავიდეთ, ვნახოთ რა ქვევანაა ინგლისი — წარმოსთქვა ექიმმა.

— რასაკვირველია ღირს ნახვა — სთქვეს ჯუჯებმა და ჩამოხტენ ველოსიტედებიდან.

— როგორ უნდა წავიდეთ ინგლისში, როცა ცხენიარა გვეავს — ამოიოხო მურზილეკამ.



— უჩინ-მაჩინის ფეხსაცმელები რაღაში გვიწიდით უკანასკან უძინველესი რა ჩატანა-წვერამ და ჩაიცვა ფეხსაცმელები, რომ ლებიც წევალში არ იძირებინ, მას მიჰევენ დანარჩეუნებიც და მაღვე მოელი საზოგადოება წელის ზედაპირზე მიაბიჯებდა. ერთი, ორი, სამი და კუკები უკვე მეორე ნაპირზე გაჩნდენ.

— აი ქალაქიც — შეჰევირა ვიცაიამ — ქალაქი!

— ინგლისის ქალაქი, რა მშენივრობაა, ნეტავი არაფერი იქნება აქ საჩემო? უთუოდ ვიძოვი ინგლისურ მატერიას ჰალტოსათვის, წაუჩურჩულა მურზილებამ ტუჩ-გრძელას.

— დამეგარებე ერთი შენც და შენი ჰალტოც — უჩასუსა ტუჩ-გრძელამ.

ქალაქი კაცუნიებს არ მოეწონათ და ისევ განაგრძეს წინსვლა. ქუჩებში კაცუნიებს სვდებოდათ ქარხნები, ქვანასშირის მაღაროები... სტუნიამ მოინდობა მაღაროში ჩასვლა და დათვალიერება, მაგრამ მურზილებამ ერთი ამბავი დაახტია.

— რაო! თქვენ გინდათ რომ მე ჩემი ასალი შარგული გავიჭრებიანო? არასოდეს — უვიროდა ის.

— რათ უნდა გაიჭრებიანო? — იკითხა სტუნიამ.

— მაშ რა გაონია, მე თავით კი არ ვივლი მაღაროში, — ბრაზობდა მურზილება, — მეორე მალიან საშიანია თურმე იქ ჩასვლა.

— შეგემინდა? მშიშარა! — დაიწეო სიცილი სტუნიამ.

— მე ჩემი კი არ მეშინია, თქვენი მეფიქრება — უჩასუსა ნაწევნი კილოთი მურზილება.

კაცუნიებმა მაინც ვერ მოახერხეს მაღაროში ჩასვლა.

(შემდეგი იქნება)



କାବଲ୍ଲେଖିକା କିମଳ୍ଲେଖା.



ଅମ୍ବିଳି କେ ନିରୁଲାମାଣି,
ଫେରାଦ କୁହର୍ଜେବିନି,
ଧର୍ଜିତ ପକ୍ଷେଶ୍ରୀମରା ଯେ ନାହିଁ,
ଅଞ୍ଚିତିକ ଫୁନ୍ଦିବିନି.


ଶୁଣିବାରାଦ ଶୁଣିବାରାଦ
ଲାଲ-ଝିର୍ଜୁଣିକ ତଙ୍ଗଲ୍ଲେଖି.
ଶୁରମ୍ଭୁକ୍ର କାଢାକ ଶୁମ୍ଭବ୍ରେଖି
ତଙ୍ଗଲ୍ଲିକ ତଙ୍ଗତରି ଶାଲ୍ଲେଖି.

ଶ୍ଵେନିକ ଶାନତଳିକ ଫୁଲିବଲିଥି
ଶତର୍ବାରିମାଲିକ ମନ୍ଦିର୍ବେନି
ରା ମିଳ ଅଲ୍ଲେଖିକୁଟିଝିବଲିଥି
ମନ୍ଦିରିନିକ ମନ୍ଦିରିନି.

ବାବା ପାଶି, ବିଶ୍ଵିଷି,
ପାଶି ପକ୍ଷିନାକୁଶଲ୍ଲେଖି...
କିଲିକ ରା କାମତ୍ତେଶ୍ଵରିକ ପକ୍ଷିନିରଦେଖି
ଲାଲ-ଝିର୍ଜୁଣିକ ତଙ୍ଗଲ୍ଲେଖି.

ମନ୍ଦିରିନି

ତୃତୀୟ.



ଜୀମାନ୍ୟଲି ରହିଲୁ
ରା ଏକ ମନ୍ଦିରକୁ
ରାତରି ଯୁଗରିଲି ଆମୁ
ଦ୍ଦାଙ୍କୁ.

ଶ୍ରୀକୃତାନ୍ତ କାର୍ତ୍ତ
କରିଲାଲ୍ଲେବରା ମିନ୍
ଦାର-କ୍ଷେତ୍ରକୁ. ମନ୍ଦିର
ରାତରି ମହିଳି ରମ୍ଭା
ରାତି — ଦାଲଦୂରି
— ଗଢ଼ିଲୁକି ଦନ୍ତ
ଲ୍ଲେତିଲି ରା ଶାମତା
ରିଲି ମନ୍ଦିରନ୍ଦେବରିଲି
ମନ୍ଦିରମ୍ଭର ରମ୍ଭରିଲି
— ରାତିକିଲି. ଆ
ଧର୍ମର ଉନ୍ନତ ପାଦା
ଚିରାଜି ଦରମା.

ପାଣିନ୍ୟଲି ରହିଲା-ମିନ୍ଦା ମନ୍ଦିରମ୍ଭରାତ ମନ୍ଦିରିଲି ଦାଲଦୂରିଲି
ପାଦାରଜ୍ଵେଳାକ. ଦାଲଦୂରି ତାମାମାତ କ୍ଷେତ୍ରିଲି ରହିଲା-ମିନ୍ଦାକୁ
ରହିଲି ବେଳେବରା. ଲାକ୍ଷ୍ମୀର ଲାକ୍ଷ୍ମୀର ରାବିରେ ରା ଶା
ମିନ୍ଦାଲି କାର୍ତ୍ତ-ପୁରୀ ପାଣିନ୍ୟା. ମାତ୍ରାମ ଆମାତ. ଏ ଗର୍ଭନାଥିଲି
ରାମ, ରାମୀ ପାଦାରଜ୍ଵାଳିଲି, ମାତ୍ରା ଦୋଷର ମନ୍ଦିରିଲି ଦନ୍ତ
ରିଲି ଶାମ୍ଭବିତାକ. ମେଘି ଧନ୍ତ ଏକ ଏକିଲି. ଲାକ୍ଷ୍ମୀର ପଶ୍ଚାତ
ଶତମାନିଲି ଦାଲଦୂରିଲି ରା ମନ୍ଦିରି ତାମାତ ରାତିମିତ — ଧର୍ମର
ଦଲେବିତ, କାର୍ତ୍ତିମିତିଲିତ ରା ଜିନ୍ଦା-ଶ୍ରୀକିଲିତ ମିରିବିଲି,

იმალება, შორს ჩრდილოეთისკენ. გამარჯვებულის, რელი
ბრწეინვალე ბალდური ღიღულათ გადმოჰეურებს
ციდან. ბალდური კეთილია, ის აპატიებს ლოკის.
სიტევას ართმევს მას, რომ ის შერს არ იძიებს.
ლოკი თავის მხრივ საშინელ ფიცის აბლევს, რომ
არც ერთი ბუქებიან, არც ერთი ხიდან, რომელიც
კი მიწაზე და წეალში სარობს არ გამოსჭრის ისარს
ბალდურის მოსაკლავათ. ლოკიმ მართალია საშინე-
ლი ფიცით შეჭყიცა, მაგრამ გაბოროტებულ გულმა
შერის ძიება განისრახა.

დამუღამეობით დაძერება ღერამიწაზე, ცურავს
წეალში, დაფრინავს ჭაერში. ემებს ისეთ მცენარეს,
რომელიც არ იზრდება არც მიწაზე და არც წეალ-
ში. ბოლოს თვალს მოჰკრავს ლამაზს, მწვანე მცენა-
რეს, რომელიც უცხო ხის ღეროზე ამოდის. მისი
ფესვები არ სარგებლობდენ არც წელით და არც
მიწით. ის ჩაბლაუჭებოდა საზოდოსოვის დიდ ხეს.
ღრმათ ჩაეშვა საწუწინი მაფები მის გულში და ხარ-
ბათ სვამდა მის წვენს. ეს იუო ფითრი.—,,აი ეს არის
რასაც ვეძებ“—წამოიძახა გასარებულმა ლოკიმ—
ესლა ბალდურისაც მოვკლავ და სიტევასაც არ გავ-
ტეს.“ მოგლიჯა მცენარის ბლუჭი, გამოთალა ისარი
და საშინლათ დასჭრა ღმერთი ბალდური. ბალდური
დიდხანს ებრძოდა სიკვდილს და მხოლოთ მისმა მა-
მამ, ღმერთმა ოდინშა დაიხსნა იგი.

ხალსს სწამს, რომ გაზაფხულზე, როდესაც ცხო-
ველი შევ დასმლევს სიცივეს და გაიმარჯვებს, ფითრიც
რაღაც სასწაულის მალით ჭკურნავს სხვა და სხვა სენს.

ჩვენში ფითრი ხმირათ ბინავდება მუხაზე, მსხა-
ლზე და სხვა ხეებზე. ადგილობრივ მას სხვა და სხვა

სახელს უწოდებენ. მაგალითად იმერეთში „მსხლილული ჭლექს“ ეძახიან. ეს სახელი იმიტომ დაპირებული რომ თუ რამდენიმე ფითრის ბუჯღი მოჟხვია მსხლის ხეს, შეუძლია ის გააფუჭოს და კიდეც გაახმოს, რად გან ფესვებიდან ამოსული წვენი სულ ფითრში გაღდის.

როგორ ჩნდება ხეზე ფითრი?


შემოდგომაზე ფითრს გამოესხმევა პატარა და მრგვალი თეთრი ნაუოფი, ის სანთლის წვეთებს ჰგავს, მის წებოიან გულს მადიანათ შეექცევიან ჩხართვები. ნაუ უფლის კურკა მიეკვრება მას ნისკარტზე და აწუხებს სოლმე. ჩხართვი სიდან ხეზე გადადის, იწმინდავს ნისკარტს შტოებზე. თუ კურკა მიწაზე დაეცა, ის არ გაიხარებს. მაგრამ თუ ის შტოს მიეკვრა რამდენიმე სხის შემდეგ გაღვივდება, პატია ფესვებით ხეს გააპობს და მზა-მზარეულ საზრდოს მოძებნის მის გულში. მისი ლამაზი დერო ოროორათ არის გაუოფილი. უოველ პატია შტოზე ღია მწვანე ფერის მოგრძო ფოთოლია. ფოთოლს და ფოთოლს შეა გამოიურება პატაწკინა უვაკილი. ზამთარში, როდესაც ხეები გაძიშვლებულია, მხოლოდ ფითრი რჩება მწვანეთ შემოსილი და მოგვავონებს მზეს და ზაფხულს.

ინგლისში ჩვეულებაა, უოველ წელიწადს საშობაოთ ფითრის ბუჯღი ჩამოჭერილონ ჭერზე. იმ ღროს იქ მთელი ოჯახი იკრიბება. შიარული ხემორია და სიცილი მოიხმის და ბავშვები ერთმანეთს სხვა და სხვა სურვილებს უქადან. ჩვენშიაც ზოგ ადგილას შემოვიდეთ ეს ჩვეულებათ. გვავიწედება ფითრის გერავობა და ამ ლამაზი მცენარით ვაკობთ თთახებს.




დღესასწაულში მახლობელ სოფლებიდან ჩატოვდა აქვთ ეს ლამაზი მცენარე და თითქოს ამითი გვის ლოცავენ ახალ წელიწადს. მეც მოგიღოცავთ ახალ წელს, ჩემთ პატარა მკითხველებო, კისურვებთ მრავალჯერ დაესწოოთ ამ ბეჭისერ დღეს.

გლენე.



სევარხანიმ და შავჩიტო.

ზღაპარი.



ყო და არა იყო რა,
იყო ერთი უძლეველი,
ბრძენი და მდიდარი
ხელმწიფე. მას შვილი
არა ჰყავდა. მაგრამ სი-
ბერის დროს ბევრი
ლოცვა და მუდარის
შემდეგ ეყოლათ ერთი
ქალი. სწორეთ იმ
დროს, როდესაც დედოფალს დაებადა ქალი, მეფის
რაშმაც კვიცი მოიგო. მეფის ქალი და კვიცი ტო-
ლათ იზრდებოდენ. მოახლოვდა ბავშის ნათლობის
იღე. მეფემ გადასწყვიტა ისე მოენათლა ქალი და
კვიცი, რომ მათი სახელი არა ძე ხორციელს არა
სცოდნოდა. რადგან, როდესაც ქალი გასათხოვარი
შეიქმნებოდა, მეფეს უნდა მოეწვია მთელი საბრძანე-
ბლის ჭაბუქი და ვინც ქალის და რაშის სახელს გა-
მოიცნობდა ის იქნებოდა მეფის სიძეც და ტახტის მე-
მკვიდრეც. მართლაც ნათლობა ჰქონდათ ჩუმი. ეკ-
ლესიაში იყვნენ მეფე, ბავში, ნათლია და მღვდელი.
ამათ მონათლეს ბავში და დაარქვეს სევარხანიმ, რაშს
კი— შავჩიტო. ამის შემდეგ შავჩიტო შეადგენდა სევარ-
ხანიმის საკუთრებას და მის ბედზე იზრდებოდა. თუმ-
ცა მეფე დარწმუნებული იყო, რომ მისი ქალის სა-
ხელი არავინ იცოდა, მაგრამ სტყუვდებოდა. მეფეს
ჰყავდა ერთი ახალგაზრდა მხლებელი არაბი, რომელიც
ქალის ნათლობის დროს კარს უკან იდგა და გასაღე-
ბის ნაჭვრეტიდან ყურს უგდებდა. მან კარგათ დაიხ-
სომა ქალის და რაშის სახელები.

სევარხანიმს მეტის მეტათ უყვარდა შავჩიტო, უკველ თავისუფალ დროს მის ალერსში იყო, სწავლის შემდეგ უპირველესათ მის თავლაში შეირჩენდა, აქმევდა, მიუალერსებდა. დედ-მამასთან მერე შევიდოდა. ასე მიღიოდა ხანი, ვიდრე სევარხანიმი გასათხოვარი გახდა.

ერთს დღეს ხელმწიფემ დიდი წვეულება გამართა. ყოველ სახელმწიფოს კუთხიდან იყვნენ მოწვეულნი ხელმწიფის და დიდებულთა შვილები. შუა ზემის და სიმხიარულის დროს მეფემ უთხრა სტუმრებს:

— დიდებულნო, დღეს იმიტომ მოვიწვიეთ, რომ გამოგიცხადოთ, ვისაც ჩემი ქალის შერთვა და ჩემი ტახტი სურს, მან უნდა გამოიცნოს ჩემი ქალის და მისი რაშის სახელი.

ყველა დააფიქრა გამოცანამ, მით უმეტეს, რომ გამომცნობელს ჯილდოთ ეძლეოდა ულამაზესი მეფის ქალი და ჩინებული სამეფო. ზოგი ქალის სილამაზემ გაიტაცა, ზოგი მეფობის პატივმა, ზოგი ცნობის მოყვარეობამ. ვინ იცის რა სახელს არ ამბობდნენ. დრო მიღიოდა, გამომცნობი კი არსად სჩანდა. შეფეხ მოიწყინა. „ვაი თუ ჩემმა ოცნებამ ჩამიაროს და ვერავინ ვერ გამოიცნოსო.“ მაგრამ ამ დროს მეფის წინ წარსდგა მისი მონა არაბი და მეფეს გამოცნობის დასტური სთხოვა. მეფეს ძალიან გაუკვირდა მონის თავსედობა და თანაც შეფიქრიანდა: — მართლა რომ გამოიცნოს, ამას ქალი როგორ მივათხოვო. მაგრამ მაინც დასტური მისცა.

არაპერ მოახსენა:

— თქვენს ასულს სევარხანიმი ჰქვია, რაშს კი — შავჩიტო.

მეფე გაოცდა. ძალიან ეწყინა, მაგრამ სიტყვას ხომ ვეღ რ გასტეხდა! მონა არაბი თავის სიძეთ გამოაცხადა.

ყველა ულოცავდა არაბს ამისთანა ბედნიერებას.



მხოლოდ თვითონ სევარხანიმ და მისი მშობლები უკუნის ვნენ მოწყენილები. გავიდა რამდენიმე დღე, სასიძომ ჯვარის წერის სურვილი გამოაცხადა. მზადებას შეუდგნენ. სევარხანიმი მალი-მალ შევიდოდა შავჩიტოს-თან, ეალერსებოდა და ტიროდა. რაშიც ძალიან ნა-ლვლობდა. მაგრამ გულომისანი იყო და იცოდა, რომ სინა შეიძლებოდა. ამიტომ ქორწილის წინა დღეს, როცა მასთან შევიდა სევარხანიმ, მან ანუგეშა და უთხრა:

— შენ საჩქაროთ შეაკერვინე ერთი ხელი ვაჟური მდიდრული ტანისამოსი. ჩაალაგე რაც საჭირო რამ არის. გამოეწყე ვაჟურათ და ამაღამ, როცა ყველა დაიძინებს მე და შენ გავიპარნეთ აქედანაო.

სევარხანიმიც ასე მოიქცა. მეორე დილას ისინი უკვე შორს იყვნენ თავის სახელმწიფოზე. ქორწილის დღეს ყველანი ადრე ადგნენ მეფის სასახლეში და მზა-დებას შეუდგნენ. მხოლოდ სევარხანიმი არსადა სჩან-და. შუა დღემ რომ მოატანა მეფემ უბრძანა მხევლებს შესულიყვნენ და სევარხანიმ გაელვიძებინათ. მხევლე-ბმა ოთახში მარტო აფუტვნული ლოგინი ნახეს და მოახსენეს მეფეს. ყველას ეწყინა სევარხანიმის გაპარ-ვა, მაგრამ ყველაზე მეტათ არაბმა გამოიდო თავი. მაშინვე მოამზადებინა ჯარი და გამოედევნა ქალს.

ბევრი ჭენებით შავჩიტო ძალიან დაიღალა და ერთ ტყის პირას მინდოორზე შეისვენეს. ამ დროს ტყის მეორე ზაპირიდან მდევარიც გამოჩნდა, წინ მოუძღო-და არაბი. დაინახა თუ არა სევარხანიმ, შესძახა:

— ეხლა კი ვეღარ გამექცევითო. ვიდრე არაბი ტყეს გამოივლიდა, შავჩიტო იდროვა და გააქანა სე-ვარხანიმი. როცა არაბი ტყიდან გამოვიდა მათი კვა-ლიც აღარსად იყო. ბევრი სდია არაბმა, მაგრამ ვე-ღარას გახდა და დალლილ-დაქანცული დაბრუნდა სა-სახლეში. სევარხანიმ და შავჩიტო კი მიჰქოდნენ და სხვა სახელმწიფოში გადავიდნენ. მიადგნენ ერთს მშვე-

ნიერს ბალს. რა გინდა თვალო და გულო, რომ სევარხანიმ შევიდა ბალში. შავჩიტოს მისცა საძოვარი და თითონ წამოწვა. მათ თვალი შეასწრო მებაღემ და შეიპატიუ სახლში. სტუმარი რომ გაერთო, მებაღემ მოიპატიუ მეფის ახალგაზრდა ვაჟი. ყმაწვილები დიდხანს საუბრობდნენ. მეფის ვაჟი ატყობდა სევარხანიმს ქალურ სინაზეს და ეჭვი ეპარებოდა. ამიტომ სამხრის ღროს მოატაინა სხვა და სხვანაირი სასმელები და აძალებდა სევარხანიმს, რომ მეტი დაელევვინებია და გამოეტება. შავჩიტომ რომ ეს შეამჩნია მეფის ვაჟს, სევარხანიმის გვერდზე წამოწვა და მის წილ სასმელებს თვითონ სვამდა. მართლაც სევარხანიმს თავი მაგრა ეჭირა, ასე რომ მეფის ვაჟმა ვერა შეატყო რა, ჰკითხა:

— თქვენ უნდა ქალი იყოთ და, თუ ეს ასეა, ნუ დამიმალავთ.

სევარხანიმი დიდ უარზე დადგა. ბოლოს მეფის ვაჟმა უთხრა:

— კარგი, მაშ ვნახოთ. აი ამაღამ ჩვენ საწოლს ვარდის ფურცელი გადავაფაროთ. დილით ვისიც დამკინარი იქნება, ის ქალი უნდა იყოს.

ქალი დასთანხმდა. იმ ღამეს შავჩიტოს არა სძინებია. როგორც კი დაჭინებოდა ვარდი, რაში მაშინვე ძველს თითონ შესჭამდა, ქალს ახალს გაუშლიდა. ასე მოიქცა რამდენჯერმე. გარიურავზე კი ისე მაგრა ჩასძინებოდა სევარხანიმს, რომ რაშმა ვეღარ გააღვიძა და დამჭინარი ვარდი ისევე დარჩა. დილით ნახეს, ქალის ვარდი იამჭინარი იყო. სევარხანიმმა მაშინ ყველაფერი უამბო ამ ყმაწვილს. მას ძალიან მოსწონდა სევარხანიმი. ვაჟმა დედ-მამის ლოცვა-კურთხვით სევარხანიმზე ჯვარი დაიწერა და ჩინებული ქორწილი გადაიხადა. კარგა ხანი ცხოვრობდნენ ასე ბედნიერათ. ორი შვილიც მიეცათ—ქალ-ვაჟი. მეფე-დედოფალს ისე შეუუყვარდათ სევარხანიმ, რომ უიმისოთ ვეღარა



სძლებდნენ. ქმარს ხომ უზომოთ უყვარდა ცოდნა-და შვილები.

ერთ მშვენიერ დღეს სევარხანიმის მამამ ომი გა-
მოუცხადა მის ქმარს და მამამთილს. ჯარების წინამ-
ძლოლათ იყო სევარხანიმის ქმარი. სევარხანიმი შევი-
და შავჩიტოსთან და ნახა, რომ ტიროდა. მან ჰკითხა
მიზეზი. შავჩიტომ უბასუხა:

— შენ იცოდე ქმარი მოგთხოვს საომრათ ჩემს
თავს, მაგრამ თუ შენთვის კარგი გინდა, არ გამატანო.

სევარხანიმი ძალიან დალონდა. მაგრამ მაინც
უარი ვერ უთხრა თავის მეუღლეს და გაატანა თავი-
სი მერანი ბრძოლაში. ჯარის კაცებში ერია არაბიც.
მან მაშინვე იცნო შავჩიტო და მიხვდა, რომ ეს ხელ-
მწიფე სევარხანიმის მეუღლე იქმნებოდა. არაბი ცდი-
ლობდა დაახლოვებოდა მეფის ვაჟს, ყოველ მის სუ-
რვილს უმალ ასრულებდა. მან მალე მიიქცია მეფის
ყურადღება.

ერთხელ მეფის შვილი წერილს გზავნიდა სახლში.
არაბი აუტყდა, მე წავიღებო. მეფე ჯერ უარზე იყო,
მერე დასთანხმდა. არაბმა დახია მისი წერილი და ხელ
მეორეთ დასწერა:

— საყვარელო დედ-მამავ! ვიდრე მე დაგბრუნდე-
ბოდე ომიდან ჩემი ცოლი და შვილები ანთებულს სა-
კირეში ჩაყარეთ, რადგან მე გავიგე ჩემი ცოლის ცუ-
დი ყოფა-ქცევა და აღარ მინდა თვალით დავინახო.

სევარხანიმმა იცნო წერილის მომტანი და მიხვდა
რაშიაც იყო საქმე. მეფე-დედოფალი კიგანცვრფრდნენ.
არ იცოდნენ რით აეხსნათ შვილის ასეთი სიმკაცრე.
მისი სიტყვა კი მაინც უნდა შეესრულებინათ.
გაახურეს საკირე, მიიყვანეს მასთან სევარხანიმი შვი-
ლებით. მეფე-დედოფალი შევიდნენ ოთახებში, რომ
მისი ტანჯვისთვის არ ეყურებინათ. ამ დროს უცბათ
მოვარდა შავჩიტო, სევარხანიმი შვილებით ზურგზე
შეისხა და ისეთი სისწრაფით გაიტაცა, რომ იქ მყო-

ფებმა ველარაფერი ვერ მოახერხეს. რაში ომილანდა მოაქცეოდა მეფის შვილს სევარხანიმის გადასარჩენათ. ძალიან შორს გაიტაცა რაშმა ქალი. საღამომ მოატანა. შავჩიტოც ძალიან დაიღალა. მგზავრები ერთს დიდ ტრიალ მინდორზე ჩამოხტნენ. რაშს დაღლილობისაგან ფერდი ფერდს უცემდა. ბოლოს მიუბრუნდა სევარხანიმს და უთხრა:

— ისე ვარ მოქანცული, რომ ამ საღამოს უეჭველათ მოვკვდები. მაგრამ შენ ნუ დაღონდები და ნუ იტირებ. გამატყავე. ტყავი შუა მინდორზე გაშალე და ჩემი დაჭრილი ხორცი გარს შემოურიგე. თითონ კი შვილებით ტყავზე დაჯექ და ისე დაიძინე, ნურაფრისა ნუ შეგეშინდება.

მართლაც იმ ღამეს შავჩიტო მოკვდა. ბევრი იტირეს სევარხანიმმა და ბავშებმა. ბოლოს აასრულა რაშის ნათქვამი, თითონ მოიკეცა შუა ტყავზე, ბავშები შემოისხა და ასე ჩაეძინათ ტირილში. გათენდა დილა. მაგრამ რა დაინახა სევარხანიმმა! იმ ადგილას, სადაც მათ ეძინათ აშენებულიყო დიდი, მშვენიერი, მდიდარი ქალაქი და მის მეფეთ იყო სევარხანიმი. შუა ქალაქში იყო აგებული მეფის სასახლე და აუარებელი ყმა და მცხოვრებნი გარს ეხვია. მალე გავარდა ამ სამეფოს აშენების ხმა — ამა და ამ ადგილას ახალი ქალაქი აშენებულაო. ასე სცხოვრობდა სევარხანიმი. ბავშებიც წამოიზარდნენ. ამ დრომდის ომი გათავდა და მეფის ვაჟი გამარჯვებული დაბრუნდა შენ. იგი მიისწრაფებოდა დედ-მამის და ცოლ-შვილის სანახავათ. იი მოვიდა კიდეც, მაგრამ რას ხედავს? მას არ გამოვეძა არც ცოლი და არც ბავშები. გაკვირვებული შევიდა სახლში, სადაც მტირალი მეფე დედოფალი იყვნენ. ყმაწვილი გაკვირვებული შესკეროდა დედ-მამას. მათ საყვედურით მიმართეს შვილს:

— რა მიზეზია, რომ ასე სასტიკათ დაგვასჯევინე სევარხანიმი, რათ ჩაგვაყრევინე საკირეში საყვარელი შვილები?



მეფის შვილს ელდა ეცა ამის გაგონებაზე მეფის შვილი ცა მაშინვე მიხვდა, რომ ეს არაბის ეშმაკობა იყო. ბევრი იტირა საბრალომ, მაგრამ რაღას გააწყობდა. ეხლა მხოლოთ სეირნობით-და ირთობდა თავს. ერთ დღეს დალონებულს მეფეს ამბავი მოუტანეს, რომ მის სახელში მოსავალი სულ გაფუჭდა და იმ წელს შიმშილობა მოელის ხალხს, თუ წინათვე თადარიგს არ შეუდგებითო. აგრეთვე მოახსენეს, რომ ახალ აშენებულ ქალაქში კარგი მოსავალი მოვიდა და გარეშე მეფეებს მიაქვთ იქიდან სარჩო. მეფეს წინათაც ხშირათ გაეგონა ამ ახალი ქალაქის ქება და ეხლა მოისურვა მისი ავ-კარგის გაგება, მოიხმო თავისი შვილი და უთხრა წასულიყო ახალ ქალაქში, სევდასაც გაიქარვებდა და ცოტა სარჩოსაც იშოვიდა ხალხისათვის. ყმაწვილი გაუდგა გზას. შევიდა ახალ ქალაქში, სადაც მეფობდა სევარხანიმ. სევარხანიმს დარიგებული ჰყავდა ბავშები—თუ ვინმე უცნობი მეფიშვილი გაივლიდა, მათ უნდა შემოეპატიუნათ სახლში. ეხლაც ბავშები კარებთან იდგნენ და მგზავრებს უცქეროდნენ. ამ დროს გაიარა მეფის ვაჟმა. ასეთი ლამაზი ბავშები რომ დაინახა, შეეკითხა:

— ვისები ხართ? როგორ მივიდე მეფის სასახლეში?—ბავშებმა უპასუხეს:

— მეფის შვილები გახლავართ, მობრძანდით, დიდი სიამოვნებით მიგაცილებთ დედასთანაო.

მართლაც სტუმარი ბავშებმა მიიყვანეს სასახლეში. სევარხანიმი გამოვიდა სასტუმროში. იცნეს ერთმანეთი. მათს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყმაწვილმა მამას აცნობა თავისი ბედნიერება. მეფემ ტახტი დაუსმო შვილს. ორი დიდი სამეფო შეერთდა. მეფეებათ იყვნენ სევარხანიმი და მისი მეულლე. შავჩიტო კი აღარა ჰყავდათ.

ჩაწერილი ქეთო მირიანაშვილის მიერ.

ქალალდის წარმოება.



აღალდს წინათ აკეთებდენ მხოლოდ ძონძებიდან. ეს ძონძები იყო ბამბის და სელის, ეხლა ქალალდს აკეთებდენ ხის ქერქიდან, ხის ქერქს ჯერ აქცევენ ფხვნილათ, ამ ფხვნილიდან აკეთებდენ ცომს, ცომს ათხელებენ, აშრობენ, ათეთორებენ და კეთდება თხელი ქალალდი ან სქელი კარდონი. არის ერთი არსება. რომელმაც გაასწრო ადამიანს ამ წარმოებაში. მათ მიერ გაკეთებული ქალალდი არ ჩამოურჩება ადამიანის მიერ გაკეთებულ ქალალდს. ეს არის ერთგვარი მწერი, კრაზანას მზგავსი. ის აკეთებს ქალალდს, როგორც საშრობს, აგრეთვე წებოიანს. თუ ასეთი ქალალდი მიწას ქვეშ მოხვდა, მას წყალი და წვიმა ვერ ავნებს, ის კეთდება მაშინ ფაფათ ქცეული ხის ნახერხიდან, თუ ეს ქალალდი ჰაერზე რჩება, მაშინ კრაზანები მას უსვამენ ერთგვარ წებოს, რომელიც იცავს წვიმისაგან. ზოგიერთი აკეთებენ ისეთ თხელ და კარგ კარდონს, რომ გაოცებაში მოჰყავთ ჩვენი მექარხნეები. ამ ქალალდიდან და კარდონიდან ისინი იკეთებენ ბუდეებს: გარედან ეს ბუდეები დაფარულნი არიან სინესტისაგან და სიცივისაგან ფოთლებით. შიგნიდან ბუდე შესდგება ექვს კუთხიან უჯრედებიდან, რომელიც ძლიერ მიეგვანებიან ფუტკრის უჯრედებს. აი როგორი არის ამ კრაზანის ბუდე: აპრილში დედა კრაზანა ეძებს ადგილს ბუდის ასაშენებლათ და აგროვებს ამისათვის საჭირო მასალას.

ბუდე მოვარდი არ გამოიყენება ადამიანის მიერ გაკეთებულ ქალალდს. ეს არის ერთგვარი მწერი, კრაზანას მზგავსი. ის აკეთებს ქალალდს, როგორც საშრობს, აგრეთვე წებოიანს. თუ ასეთი ქალალდი მიწას ქვეშ მოხვდა, მას წყალი და წვიმა ვერ ავნებს, ის კეთდება მაშინ ფაფათ ქცეული ხის ნახერხიდან, თუ ეს ქალალდი ჰაერზე რჩება, მაშინ კრაზანები მას უსვამენ ერთგვარ წებოს, რომელიც იცავს წვიმისაგან. ზოგიერთი აკეთებენ ისეთ თხელ და კარგ კარდონს, რომ გაოცებაში მოჰყავთ ჩვენი მექარხნეები. ამ ქალალდიდან და კარდონიდან ისინი იკეთებენ ბუდეებს: გარედან ეს ბუდეები დაფარულნი არიან სინესტისაგან და სიცივისაგან ფოთლებით. შიგნიდან ბუდე შესდგება ექვს კუთხიან უჯრედებიდან, რომელიც ძლიერ მიეგვანებიან ფუტკრის უჯრედებს. აი როგორი არის ამ კრაზანის ბუდე: აპრილში დედა კრაზანა ეძებს ადგილს ბუდის ასაშენებლათ და აგროვებს ამისათვის საჭირო მასალას.

მაგარი ღრანჯები შველის მათ ბუდის აშენებული და შვილების გამოკვებაში.

ხის ნაწილებიდან, ხის ქერქიდან კრაზანა აკეთებს პატარა გუნდს და მიაქვს ბუდესთან. ადვილი სანახავია, როგორ ფიცრებზე, ხეებზე, ფანჯრებზე ეს კრაზანები ღრანჯებით აცლიან ხის ბოჭკოებს, სიგრძით ორ მილიმეტრამდე. შემდეგ ამ ბოჭკოებს ისინი სწერენ, მერე აგროებენ, აკავშირებენ ერთს მეორეზე წებოიან ნერწყვით. ამ რიგათ ისინი უფრო ადვილი გადასატანია იქ, სადაც შენდება ბუდე. აქ ამ ხის ფას კიდევ დამუშავებენ ღრანჯებით, სანამდის არ გარდააჭცევენ თხელ ქაღალდის ფხვნილათ, იმ გვარათ, როგორც ქარხანაში ათხელებენ მანქანით სხვა და სხვა ლითონს. შემდეგ მას წაუსვამენ ერთ გვარ წებოიან სითხეს, რომ დაიცვან წყლისაგან. ეს წებოიანი სითხე შეაღენს ქაღალდის ნაწილს.

ბუდე შესდგება ცალკე უჯრედებიდან, სამი ნაწილიდან და მთელი რიგი ამ უჯრედებისა გამაგრებულია ბოძებით.

გარეგანი ამობურცულობა უშლის ბუდეში წყლის შესვლას. კრაზანები გარედან ბუდეს წაუსვამენ წებოს. ამ წებოსაგან ბუდე ვერცხლის ფრათ მოჩანს.

ბუდეში ჰაერი იმდენათ თბილია, რამდენათაც საჭიროა კვერცხებისათვის. განსხვავება გარეთა, და შინა ჰაერ შორის უდრის $14-15^{\circ}$ ცელსიით.

უმეტესათ ჩვენი კრაზანები იშენებენ ბუდეს მიწაში, ხის ფულუროებში, დანგრეულ კედლებში, სახლის სახურავების ქვეშ. უნახავთ მათი ბუდეები ცარიელ ქვევრებში, სკებში, აქ უსათუოდ ისინი იკვებებოდენ თაფლით. ზოგიერთი ჯიშის კრაზანები იკეთებენ ბუდეებს ხეებზე, ბუჩქებზე.

ორნაირ მასალას ხმარობენ თავიანთ შენობებისათვის.

ზოგიერთნი ხმარობენ ხის გამხმარს ან დამპალ ნაწილებს. ისინი გადაღეჭავენ ამ მასალას, შეაზავე-

ბენ წებ ითან სითხით; ამ გვარად გაკეთებული ბუდე ადვილად დასანგრევია, მხოლოდ ბოძები, რომლებზედაც სდგას ბუდე მაგრებია და გამძლე, ასეთი ბუდე მოყვითალო, დამჭერარ ფოთლის ფერის არის, ან და იმ ფერისა, რა ფერისაც არის ხე:

ზოგიერთნი ხმარობენ ხის ბოჭკოებს, მათ აცლიან ხეს, ყიცრებს, ბოძებს, ჯოხებს, ან და გამხმარ ბალახებს.

ამასთან ერთად ისინი დაეძებენ ხის ნივთიერებას, რომელიც წყლისაგან და ჰაერისაგან რბილდება. ასეთი მასალისაგან გაკეთებული ბუდეები არის რბილი, და წაჭვავს ქალალდისა; გარედან რუხი ფერის არის.

ამ გვარათ შეიძლება თამამათ ითქვას, რომ კრაზანებმა ადამიანზე ადრე იცოდენ ქალალდის გაკეთება.

დედა—კრაზანა იშენებს ბუდეს. ბუდეები, რომელნიც არიან მიწის ქვეშ,—იმყოფებიან მინდვრის თავების სოროებში, ან და მუდოების დატოვებულ ხვრელებში. დედალი სდებს კვერცხებს. ამ კვერცხებიდან გამოდის მუშა კრაზანები. ესენი დაეძებენ საჭმელს პატარებისათვის. როდესაც ესენი წამოიზდებიან, დედა აღარ გამოდის. ყვავილებზე და ხეებზე ხედავთ მხოლოდ მუშებს, რომელნიც განირჩევიან პატარა ტანით. ამ დროიდან დედა—კრაზანა სდებს კვერცხებს და აღარ ზრუნავს აღარც შენობაზე, აღარც პატარების საზრდოზე.

როგორც პატარებზე აგრეოვე დედოფალზე ზრუნავენ მხოლოდ მუშები. ესენი აშენებენ უჯრედებს. ამაგრებენ ბუდეს, უკეთებენ მას ბოძებს, ძველ უჯრედებს უშენებენ ახალ სართულს—ახალ უჯრედებიდან.


ამერიკაში (ურავვაიში) და არგენტინის რესპუბლიკაში არის ერთგვარი კრაზანა, რომლის ბუდე სიგმით არის 72 სანტიმეტრი და სიგანით ერთ სანტიმეტრზე დიდი. ისინი წააგავან კვერცხს, ხანდისხან შუაში არის თითქოს გადაჭრილი. მიხაკის ფერი კარ-



დონი, რომელიც გარედან მას აკვრია, არის ისეთი მასზე გარი და სქელი, რომ თავისუფლათ შეიძლება მასზე წერა. მექსიკაში, ბრაზილიაში, გვიანაში ნახავთ ბუდეებს, გაკეთებულს მშვენიერ თეთრ კარდონისაგან. ეს კარდონი იმდენათ კარგია და სუფთა, რომ საუკეთესო ქარხნებში გაკეთებულ კარდონს არ ჩამოუვარდება.

არა მარტო კრაზანები აკეთებენ ქაღალდს, თუმცა ეს წარმოება მათ აიყვანეს უმაღლეს საფეხურზე, სხვა ცხოველებიც აკეთებენ ქაღალდს. ზოგიერთი ტერმიტები აკეთებენ ქაღალდს, მხოლოდ ხის ნაწილებს ისინი შეაზავებენ თავისი განავალით. ზოგიერთი ჭიანჭველებიც აკეთებენ კარდონს. პორტო-რიკოს ჭიანჭველები აწებებენ ხის ნახერხებს და აკეთებენ ვებერთელა ბუდეებს ხეებზე. ეს ბუდეები შეერთებულნი არიან მიწასთან დაფარული ტალანებით, რომელნიც ხის ტოტებში იმაღლებიან.

ალფ.





Բ ա կ ե ա ր ռ ռ ծ յ լ ո .



Կոնացես, ծիրակոնացես, կանչեսուս, յօվուս,
 արդ-մարշես Ֆըլլաջացես յարո,
 ա՛նչազերոլս և գառապուրքուլս
 և յուլ տան մռացքս մտա և նարո.
 տռազլուս քութուն յարա՛նուրո
 ուրցա և ծորուալյածս,
 մոնցրուեծուան այրուցուունո
 տյուրուադ վորհելուց բոցս և վալյածս.


մուշեցենար ուրունչուլյածուս
 վականցեա արսադ արո;
 արսադ մելու, արսադ մցուլո
 մնոյրու և ույրու մոմիշարո.
 յելու գարցու վոն գամռու,
 տու առ մերուադ սմինթարո,
 ան տացնչու եցլո-ալյուլունո,
 ան սայիստցուս գաճամցուարո.
 մացրամ առա! ացըրա լուենս

վոլուպ մռատյանուտուրցեծս,
 մերեծնչու նածադ ֆամռուսեմուլունո
 ուս առացցուս առ սպուրցեծս.
 և մաս նոյրցես և նէծադ նոյս
 լուելու սմինթա տռոյուս լուլու,
 մուսու լուրջա ծցըլանուրո
 ույլուս եցություն գարուրուլուա.

մեցդարուա! նոյտու յրտմա
 մուրուցա ծիրակուունուս զուլո?
 տացես սմցուլու և գամռուծուս
 մարտուն մարտու հողուրու մցուլո?!

და თუ მართლა ეს ასეა,
 რა ამღერებს მაშ ამ წყეულს!
 ნუთუ ჭირი ლხინად უჩანს
 უნამუსოთ გამოქცეულს?
 არა, არა, ფიქრი ჩემი
 უდეველად რეულია?
 გულ და გულ რომ შედის სოფლად
 ალბად მტერი ძლეულია.
 „გავიმარჯვეთ!
 მტერმა დასდო ჩვენთან ზავი.
 გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს!“
 და თოფსა სცლის სოფლის თავი.
 გაუმარჯოს! — ჩვენც შევძახოთ,
 სიტყვას ნურგინ გაძვირებს;
 გაუმარჯოს მახარობელს.
 ვაშა, ვაშა, მამაც გმირებს!

შიო მღვიმელი





ტექ მირცვალა.



უმცა მრავალი ხეები ოქროსა და მარჯნის ფრად იყვნენ მორთულნი, მაგრამ ბევრსაც კი ჯერ არ გაეხადათ მწვანე ქათიბი, ამ ამ დროს მეტათ ლამაზი იყო საიღუმლოებით მოცული, ათას ნაირი ხმებით და სურათებით საცე ტყე. სწორედ შინა საღამოს გასაოცარი გამომეტყველებით იცქირებოდნენ და ჩუმად, დაკავებით რაღასაც ჩურჩულებდნენ დიდრონი იფნები; ფოთლებ შესისხლიანებული ტყის ალუბალი კი ისთეთი კეკლუცი იყო, ისეთი სინაზით არხევდა ზეცას შეტკრცნილ კენჭეროებს, გეგონებოდათ იყვარულით გამწარებულ ქალს თითქოს ალქაჯური ცეკვით სურს მოხიბლოს თვისი სატრფოვო. დინჯი მუხა კი განუწყვეტლივ დუღდა და დაკავებული დუღუნით ტყეს რაღაზედაც აფრითხილებდა. ყველგან ტყის წიაღში ყვითელი ფოთლებისაგან ისეთი არა ჩვეულებრივი ნათელი იყო დამყარებული, რომ გულს უსაზღვროებისაკენ იტაცებდა. რაღაც ძლიერი, გამოუთქმელი სურკილი, ღრმა სევდა და გიური აღტაცება სუფევდა იმ ადგილას, საღაც ვერხვები აწყობილ ჩანგივით თვისი ფოთლების ჩურჩულით ისე მაფონდ ხან ზღვის ღელვას, ხან ადამიანის სულის შფოთვას გამოხატვდა. მთის წევრვალი თავზე ნისლის მანდილი მოეხვიათ და ტყის ხმაურობას გუგუნით უპასუხებდნენ. ტყე რაღასაც გრძნობდა და უცნაურად იმისათვის ხმაურობდა.

ლამე კი ბნელი დაღვა, უქარო იყო და მშვიდობიანი. ტყე სდეუბდა, მაგრამ დუშილის ეამს ზოგჯერ გამომკრთალი ფოთოლთ ჩურჩული რაღაც დაკავებულ სევდას და ძრწოლას ხატავდა.

შეა ღასისას დადუშებულ ჰაერში აკვანში მიძანებულ ბავშვივით რაღაც მშვიდათ აჩურჩნდა. წყნარად აშრიალდა... და განთიაღისას კი ყველაფერი შეიცვალა.

მხოლოდ რამჟენიმე საათში სულ მთლად გათეთრდა, უცებ მოხუცდა მთელი ბუნება.

თავისუფლად მდგომი, ჯარივით გამწკვრივებული წნო-



რები, თამამი რცხილა და მეტადრე ახალგაზრდა იფნების სმილის ძიმისაგან წელში ღრმად მოხსილა ყველა და ახლა კი სუმდნენ. ნერა გენახათ რა თვალწარმტაცი მომხიბლელობით იყვნენ აღვსილნი ისრნი იმ მწუხარების ეამს!!

აგრე, ერთი ტან წერწეტა, ყველაზე განზე გამდგარი ხე! იგი ისეთი სახით იყო მოხრილი, თითქოს ოთხმოცის წლის მოხუცს სახლობა ამოსწყვეტია და ყავარჯენზე დაყრდნობილს თავი მწუხარებისთვის მიუკიაო.

ტყეში ამ მკვდრულ სიჩუმის უამს რომელიმე ახალგაზრდა ხს ტოტი საშინლად გაიტკაცუნებს, ხე ციებისაგან ატაცებულ ავადმყოფით შეთრთოლდება, ძირს ჩამოყრილი თოვლი იდუმალებით დაიშრიალებს და მკლავებ დალეჭილი ხე უფრო იხრება და იღუნება.

ოხ, რა ლამაზია იგი ამ სიკვდილის უამს, მოდუნებული, შოღვენთილი თეთრი, სპეტაკ სამოსლით მორთული, რა გშვენიერია, რა ძვირფასია უდრო უფამოდ შესუდრული ახალგაზრდა ტყე!...

ტყაც!.. ისმის ამ სიჩუმეში ტოტების ლაშალუწი. ცელწი, დაუდეგარი ფიფქი კი განუწყვეტლივ თავს დასტრიალებს, ჩუმად შრიალებს და ნელ-ნელა მძიმე სუდარაში ახვევს სიცოცხლით საესე საყვარელ ტყეს, მის ოქროს და მარჯნის სამკაულს მიწისთან ასწორებს.

ტყე მთლად გაინაბა, უკანასკნელად ოდნავ ღა ამოისუნთქა და მიიცვალა.

დასრულდა ყველათერი, ტყე მიიცვალა, მაგრამ ეს მშვენიერი მიცვალებული თვალებს აბრმავებს თვეისი ს. ლამაზით... მიი კვალა და მგლოდეიარე კი არსადა სიანს. მხოლოდ იმ დუმილის უამს შორილგან ზოგჯერ მგლის საზარელი ყმუილი გამოკრთება და ნერა იცოდეთ ის ყმუილიც მკვდრის მშვენებას რა რიგ უხდება და ალამაზებს..

მაგრამ აგერ ცა გაცრიაგდა, შავი ღრუბლები აქეთ იქით მიმოიფანტა და აღმოსავლეთით ახლად მიცვალებულ ტყის ერთად ერთ ნუგეშად, ერთ სანთლად მზე აენთო და აპრიალდა. მისი ალმაცერი, გაყინული სხივები ოქროს კულულად ჰედ დააფრქვია და ნერა ნახოთ მიცვალებული ტყე იმ წამს რა თვალ-წარმტაცი და რა ნაზია.

ცემიტი.



ევითელი ეზოს ძაღლის ისტორია

(ტომპსონ — სეტონი)



ული პატარა ყვითელი ეზოს ძაღლის სახელი იყო. სახოგადოთ ყვითელი ეზოს ძაღლის შთამომავლობა შეჩრეულია. მასში ყველგვარი ძაღლის ჯიში არის არეული; — ის არც ერთ ჯიშს არ ეკუთვნის, მაგრამ ამის მიუხედავათ სხვა ჯიშებზე უფრო ძველი შთამომავლობა აქვს, რაღაც თავისი ბუნებით პირველ-ყოფილ ტურას — ყველა ძაღლის ჯიშის წინაპარს — უახლოვდება.

ტურას მეცნიერული სახელი „Canis aureus“ არის — რაც ნიშნავს „ყვითელი ძაღლი“ — და ტურასაგან წარმოშობილ უბრალო ეზოს ძაღლში მისი ბევრი თვისება არის დარჩენილი.

ეზოს ძაღლი გამჭრიახე, მომქმედი და მომთმენია. ის არსებობისათვის საბრძოლველათ ათასჯერ უფრო მომზადებულია, ვიდრე მისი ჯიშიანი მომქმედი. ამის დასამტკიცებლათ — სულ მიუვალ კუნძულზე მარტო დასტოვეთ მწევარი, ბულდოგი და ეზოს ძაღლი; ნახევარი წლის შემდეგ — როგორ გვინიათ, ცოცხალი რომელი დაგხვდებათ? — რასაკვირველია ეზოს ძაღლი.

მართალია მან მწევარსაგით სირბილი არ იცის, მაგრამ მასზე უფრო ჯანმოქლი — საღი ფილტვების პატრონია. ის ბულდოგს ღონეში და თავგანწირულ სიმამაცეში ვერ შეედრება, მაგრამ მას ისეთი რამ აქვს, რაც ბევრათ უფრო დასაფასებელია: გამჭრიახი გონება, ჯანმოქელობა და მოსაზრება — ეს არსებობისათვის საბრძოლველათ კარგი იარაღებია. როდესაც ძაღლებს უადამიანოთ უხდებათ ცხოვრება, — ყოველთვის ცხოვრებაში გამარჯვებული ეზოს პატარა ძაღლი რჩება.

ხანდახან ეზოს ძაღლებში ისეთი ლეკვი დაიბადება, რომელიც პატარა დაცუჭვეტილი ყურებით თავის წინაპარ ტურას წააგვს — ასეთ ძაღლებს უნდა უფრთხილდეთ: — მის ბუნებაში მისი წინაპრის სიმხეც არის დამალული და ცუდი მოპყრობისაგან, ან ხანგრძლივი წამებითი ცხოვრებისაგან მასში საშინელი ნაღირი იღვიძებს.



პატარა ვული მაღალ ჩევიორებზე დაიბადა. სუსკელა
 ლევაში მხოლოდ თრი დატოვეს: — მისი ძმ., რაღან დიდ
 იმედებს იძლეოდა, რომ მომავალში მთელ იმ მიღამოში საუ-
 კეთესო ძალლი იქნებოდა და ვული კი, რაღან ძალიან ლა-
 ბაზი იყო. ვული ახალგაზღიული ცხვრების მწყემსობას
 მიეჩინა. მისი გამწვრთვნელი გამოცდილი კოლი იყო, რომე-
 ლმაც თავისი ხელობა შესწავლა და ბებერი მწყემსი, რომე-
 ლიც თავისი ჭეუით თრივე ძალზე დიდათ არაფრით განირ-
 ჩეოდა. როდესაც ვულის თრი წელი შესრულდა, ის უკვე
 დიდი ძალლი იყო, რომელსაც ცხვრების მწყემსობის მეცნი-
 ერება ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. მან თავისი სამწყემ-
 სო შესანიშნავათ შეისწავლა — ვერძის რქებილან დაწყებული
 ბარენის ჩლიქებამდე. ვულის უფროსი რობინი თავის თა-
 ნაშემწეს ისეთი ნდობით უყურებდა, რომ თავის გაჩეჩილ
 ცხვრებს მთელ ღამებს ვულის ამარა ტოვებდა — თვითონ კი
 სამიკიტნოში ატარებდა ღროს. ვულიმ სამაგალითო აღზრდა
 მიიღო — ბუნებითაც ნიჭით დაჯილდოვებული იყო და
 დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ თავისი ჭეუის და ნიჭის მიუ-
 ხდავათ ის თავის უტვირო რობინს დიდ პატივს სკუმდა.
 რობინი სულ მუდამ მთვრალი იყო, მაგრამ თავის ძალს
 უხეშად იშვიათად მოექცევოდა, ვული თავის პატრონის კე-
 თილ გულს აფასებდა და გაზვალებული თაყვანის ცემით
 ეპყრობოდა მას. ვულის ვერ წარმოედკინა თუ მაცელ დედა-
 მიწაზე რობინისთან დიდებული ადამიანი მოიძებნებოდა. რო-
 ბინი კი მთელი მისი ასევებით დაქირავებული ჰყავდა ხუთ ში-
 ლინგათ კვირაში არც ისე დიდ მეჯოვეს, რომელსაც ვულის
 ცხვრები ეკუთვნოდა. რობინს უფროსმა უბრძანა ცხვრების
 იორქშირის მინვდრებისკენ გადარეკა. ნუტრბლენდი ისე
 გადაიარეს, რომ არაფერი შეითხვევიათ. მდინარე ტაისთან
 რომ მივიდენ, ცხვრები ბორანის საშალებით მეორე ნაპირზე
 გადასხეს — მუდა იკვამლებულ სამხრეთ შილდისაკენ. ქაჩ-
 ნების მაღალი მილები თვის დილის საქმეს შეუდეგნ: — ამო-
 ხეთქეს კუნ-პეტივით შავი კვამლი, რომელიც დღის სინათ-
 ლეს შევკილა და ქუჩიბს შავ ლრუბელსავით ჩამოაშვა. ცხვ-
 რების მოეჩინა, რომ საშინელი მთის ჭექა ქუხილი იწყება და
 დაფეთვენ — მთელ მიღამოს უგზო-უკვლოთ მოედვენ.
 რობინს ნამეტანი ეშკინა; — გონება დაკარგულმა თავის გა-
 ფანტულ ფარას თვალები გააყოლა და ბრძანება გასცა:

„ვული, დააბრუნე ისინი“. შემდეგ რობინმა ყალიონი ფაზული მოვალეობა და წინდის ქსოვა დაიწყო. ვულისათვის რობინის ხმა ლმერთის ხმა იყო. ის სწრაფ გაექანა 374 ცხვრის დასაბრუნებლად და, ხანამ რობინი წინდის წვერის ქსოვას მოათავობდა, ცხვრები დაბრუნებული იყვნ. ვულიმ რობინს შეატყობია, რომ ცხვრები აქ არიანო. მწყემსმა ჩათი თვლა დაიწუო; 370—371—372—373.—ვული! —ნიშნის მოგებით წამოიძახა მან—აკლია, ერთი აკლია.

ვული სიღცხვილით დამწვარი გაქრა, რომ მთელი ქალაქი დაევლო და გაბნეული ცხვარი მოეძიბნა. ვულის წასვლის შემდეგ იქვე მდგომა ბიქმა რობინს შენიშნა, რომ სუყველა 374 ცხვარი იქ იყო. მოხუცი გაშეშდა. მას უფრო სისაგან ბრძანება ქონდა ფარა დაუყონებლივ იორქშირში გაერკა, მაგრამ ესეც იკოდა, რომ ვული უცხვეროთ არ დაბრუნდებოდა, მოიპარავდა და ცხვარს მაინც მოიყვანდა. ასეთი შემთხვევები ხშირად იყო, ყოველთვის უსიამოვნებით თავდებოდა.—რა უნდა ქნას? 6 შილინგს კვირაში ვულისთვის ხომ არ დაკარგავს? ვული კარვი ძალია, მისი დაკარგვა ცოდვაა, მაგრამ უფროსის ურჩიბაც არ გარგა. ვულიმ იუ სხვისი ცხვარი მოიპარა და ისიც უ ხო ქალაქში?—არა, სჯობს ვული დავტოვო.

რობინმა თავის ფარასთან ერთად გზა განავრძო.

ვულიმ მთელი ქუჩები შემოიარა. თავის დაკარგულ ცხვარს ამაოდ ექცებდა, მთელი დღე და ღამე დაბრუნდა, მშიერი, დაქანული და დარცხვენილი ბორანთან დაბრუნდა, მაგრამ საცოდავ ძალის თავისი ძველი მეგობრები არ დაუხედა. საცოდავი საყურებელი იყო ვული. შესაბრალისი წკმუტუნით აქეთ—იქით დარბოდა; შემდეგ, რომ ვერაფერი მოახერხა, ბორანით მეორე ნაპირზე გადავიდა, მაგრამ რობინი არსად სჩანდა. ისევ სამხრეთ შილდში დაბრუნდა და თავის ჩერჩეტ რობინს მთელი ღამე დაექცებდა. მეორე დღეს სულ თავის სათაყვანებელ უფროსის ძებნაში იყო. ბორანზე რამდენჯერ გადადიოდა. ვინც არ უნდა მოხულიყო, ყველას ფეხებს უწნო სავდა, დაკვირვებით ათვალიერებდა. უცებ მოისაზრა და სუყველა ახლო-მახლო საიკიტნო შემოიარა, იმ იმედით, რომ თავის ბრძანებელს წაწყდებოდა, მაგრამ იპედებ გაცრუებული ისევ ბორანს დაუბრუნდა. ის არც ერთს არ გაუშევებდა ბორანზე, რომ ერთიანად არ დაეთვალიერებია და არ დაეყნოს. ბორანი დღეში ორმოცდა ათჯერ მიღი-მო-



დიოდა და თითო მგზავრობაზე ბორანზე არა ნაკლებ უფრო უძლიერი გადასაცემისა იყო — ვული არც ერთს დაუსინჯავს არ გაუშვებდა.

ამ გვარათ პირველ დღეს 5000 წყვილი ფეხის დაყნოსვა მოუხდა. ყოველ მომავალ დღეს ასე ირჯებოდა. გავიდა ერთი კვირა — ვულის საჭმელი არ ახსოვდა. სიმშილმა და მწერარებამ ვულის თავისი დაღი დაასო: ის საშინლად გახდა და გაანჩხლდა. ყველა მორიდებით უხვევდა გზას და, თუ ვინმე მის ყოველ დღიურ ფეხების სინჯვას წინააღმდეგობას გაუწევდა, ეს საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩაგდებდა და გააფთრდებოდა. დღე დღეს მისდევდა, კვირა-კვირას და ვული თავის საყვარელ რობინს მოთმინებით ელოდა. შენავეები ვულის ერთგულებას აფასებდენ და საჭმელს აწვდიდენ. პირველად ვულიმ მათი მოწყალება უარყო, მაგრამ სიმშილმა თავისი ქნა და ვულის სიამაყე მოდრიკა, მთელ ქვეყნიერობაზე გაბრაზებული ის თავისი გლახაკ რობინის შინც ერთგული იყო.

თორმეტი თვე გავიდა და ვული თავის სათაყვანო რობინს შეუდრეკლად ელოდა. ის მომჯობინდა და კარგი შეხედულობა მიიღო. მისი მოელვარე თვალები, ჰქვიანი გამომეტაცველება და გრძნობიარე დაცვეტილი პატარა ყურები არავის გამოეპარებოდა. ვული თავის დაკარგულ უფროსს მთელი ორი წელი ყარაულობდა. ის ბორანს არ ცილდებოდა, თავისი რობინის საძებრად შორს არ მიღიოდა — დაბნევის შიში კი არ ქონდა, არა — მას ეგონა, რომ მისი სათაყვანებელი რობინის სურვილი იყო ვულის ბორანთან ყარაულობა და ისიც ამ სატანჯველს მოთმინებით იტანდა. როდესაც მას მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა დასპირდებოდა, ბორანით დაუყონებლივ სარგებლობდა. ბორანზე ძალის გადასახადი ერთი პენნი იყო და მენავეები ანგარიშობდენ. როდესაც ვულიმ თავისი მოგზაურობა შეწყვიტა, მასზე რამდენიმე ასი გირვანქა სტერლინგი ითვლებოდა, რომელიც იქაურ საზოგადოებაზე იყო მიწერილი. ის არც ერთ მგზავრს არ გაუშვებდა, რომ მის შარალს კარგათ არ გაცნობოდა. ამ ხნის განმავლობაში მის ექსპერტიზას 6,000,000 ფეხი მოხვდა, მაგრამ ამდენმა შრომაშ სულ ამაოდ ჩაიარა. მისი შეუდრეკელი სიერთგულე ერთ წამს არ შერყეულა, — თუმცა ამდენი ხნის ასეთ მდგომარეობაში ყოფნამ ხასიათი წაუხდინა.

ერთ დღეს ბორანზე კარგი ჩატსკენილი მეჯოგე ავიდა.

ვული როგორც ყველას—ისე იმასაც მივარდა და დაწერის, უცებ შეკრთა, თბილობა—მთელ მის ტანში ურუანტელმა დაიირა, ყველიდან ყრუ ღმული აღმოსკდა და მთელი მისი გრძნობები და ყურადღება ახალ მოსულმა მიიპყრო. ერთ მენავეთაგანმა რა მოხდა არ იცოდა და დაუყვირა:—ეი შენ, ახალგაზდავ, ჩვენს ძალლს შეურაცყოფს ნუ აყენებ!

— ვინ აწუხებს? უფრო ის მაყენებს მე შეურაცყოფას!

უცებ ვალი შეიცვალა და მაყურებლებს ახსნა აღარ სქირობათ. ის უცნობს არაჩეულებრივი სინაზით ელაქუცებოდა—და რაც შეეძლო კუდს უქნევდა. ასეთი დიდი ხანია ის არ ყოფილა. საქე ით რა იყო. მჯოგე დორლეი რობინს კარგათ იცნობდა და მისი შარტი და ხელთათმანი რობინის მოქსოვილი იყო და ერთ დროს მის საკუთრებას წარმოადგენდა. ვულიმ თავისი სათაყვანო კერპის დაბრუნების იმედი დაკარგა და გადაწყვიტა ისევ დორლეის მიკედლებოდა, რომელსაც რობინის მოქსოვილი ხელთათმანი ეცვა. დორლეიმ სიამოვნებით წაიყვანა ვული დერბიშირის მთებში, სადაც ძალლი თავის ძველ თანამდებობას დაუბრუნდა.

II

მონსალდი—ეს დერბიშირის ერთი საუკეთესო ვაკეა. ამ მიღამოებში ერთად-ერთი სამიკიტნო იყო. სახელად „ღორი და საყირი“, რომელიც ერთ მოხერხებულ იორკბირელს გრეტორეესს ეკუთვნოდა. ბუნებით ის კონტრაბანდისტი იყო და ბედმა მიკიტნობა არგუნა. ამ ადგილებში საზოგადოთ ბროკონიერობა (სხვის ადგილებში ქურდულათ ნადირობა) ძალიან გავრცელებული იყო. ამ საქმეში პირველი გრეტორეესი იყო.

ვულის ახალი ბინა ჯერ სამიკიტნოს ზემოთ იყო.

ვულის უფროსს დორლეის ერთი პატარა ფერმა ჰქონდა და ცხვრების დიდი ფარა გორაკებზე გაშვებული ჰყავდა. ვული თავის ცხვრებს თავ-სებური დაკირვებით და ფხიზლათ მწყესავდა. ის გადამეტებული გულჩხვეული მუღამ პირმქუშეთ იყო, მაგრამ თავის ცხვრებზე სამაგალითოდ ზრუნავდა მთელი წლის განმავლობაში დორლეის არც ერთი ცხვარი არ დაკარგოდა, როდესაც მეზობელი ფერმერები მელიებს და არწივებს ჩვეულებრივ ხარქს უხდიდენ. საზოგადოთ იმ ადგილებში მელიებზე ნადირობა ძალიან ძნელია კლდოვანი ადგილები და ლრმა უფსკრულები ცხენით მოგზაურობისათვის



ნაკლებათ არის მოხერხებული. ასეთი ადგილები მელიტების მიმდევად გამრავლებას ხელს უწყობენ, — და გასაკვირველია ისე რატომ არ მომრავლდენ, რომ მთელი მანსალდი გაევსოთ. 1881 წლამდე მელიებზე საყვედური არ ითქმოდა, მაგრამ ამ ბოლო წელს სოფლის ახლო ჩამოსახლია გაიძერა მელა, რომელმაც მონაცირები მათი მწევარ მექებრებინათ სასაკილოთ აიღდო. პიკას თავისი მწევრები არა ერთხელ გაუკიდებია, მაგრამ კუდა-მელია თავს ყოველთვის დააღწევდა „ეშმაკის ხვრელში“ დაიმარტუბოდა. ამ ადგილს თუ მიაღწევდა — მერე არაფერი უჭირდა — მისი სიცოცხლე უზრუნველყოფილი იყო. როდესაც მასზე ნაღირობას დაწყებდენ, ყოველთვის იმ ადგილს მიაშურებდა, და მონაცირებასაც ეს რაღაც მოჯადოვიბულ ადგილათ მიაჩნდათ. ერთმა შემთხვევამ ისინი ამაში ნათლად დაარწეუნა: როდესაც ერთი მწევართაგანი მელიას გამოკიდა, მან ჩეულებრივ უშმაკის ხვრელს „მიაშურა. ძალია არ სცილდება და „ეშმაკის ხვრელაზე“ მასდია, კინაღამ დაიჭირა; ამ შემთხვევის შემდეგ ძალი გაცოდდა.

მელია თავის მტაცებლობას განაგრძობდა. სოფელს გაბიდულათ მიუვარდ ბოლა — მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ისას არ ეშინოდა. მელია ეს სახიფათო ნაღირობა ისე გაუტკბა, რომ ცხვრებს სისხლის უბრალოდ დაღვრის უინით ხოცავდა. ამ გვარათ ერთ ლამეს მეჯოგე დიგბის ცხრა კრავი დაუხოცა. მეორე ლამეს კარლს შეიდი ცხეარი აკლდა. ლამე არ გავიდოდა, რომ ვისმე ან ცხვარი, ან შინაური ფრინველთაგანი, ან ხბო არ დაჰკურებოდა. თქმა არ უნდა, რომ ამ განაღურებას ყველას „ეშმაკის ხვრელის“ მელიას აწერდენ. იმაზე მხოლოდ ის იკვიდენ, რომ ძალიან დიდი იყო, ასე სჯიდენ მისგან დანატოვ კვალით; ახლოს არაოდეს არავის უნახავს. საკირველი ისაა, რომ იმ კუთხის საუკეთესო მწევრები ტენდორი და ბელი ნაღირობაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ.

ადგილო რიგმა ფერმერებმა ჯოს თავმჯდომარეობით თავი მოიყარეს და გაიასწყვიტეს თოვლის მოსვლამდი მოეცადათ და მთელი კუთხე კარგათ დაკვირვებით დაეთვალიერებინათ და ამ საშინელი მელიას ბინა უსაფუოდ მოეძებდათ. მაგრამ თოვლი არ მოდიოდა და წითელი მელია განაღურებას განაგრძობდა. იმის მოუხედავათ, რომ ის გახდებულ ნაღირიათ ითვალებოდა, ძალიან ფრთხილად იქცეოდა: — არასოდეს ზედიზედ ორ ლამეს ერთსა და იმავე ფერმას არ დაეცემოდა,

თავის მსხვერპლს იქვე არაოდეს არ შექამდა და არაოდეს კვალს არ ტოვებდა, რომელიც მის გზას გამოაშკარავებდა. კვალი ყოველთვის ან მოლთან ან დიდ გზასთან შეწყდებოდა.

ერთხელ მე მისი ნახვა მომიხდა. გვიან საღამოს მე ბეკველიდან მონსალდში ვძრუნდებოდი, საშინელი კექა-ქუხილი იყო. სწორეთ იმ დროს, როდესაც მესტედის ფარებს აუხვივ, ძლიერად გაიღლვა და ჩემს თვალებში შემდეგი სურათი აღიბეჭდა: ოცი ნაბიჯის მანძილზე გზაზე უშველებელი მელა იჯდა, რომელმაც თავისი გაბოროტებული თვალები გამიშტერა და რალაც საეჭირდ ილოკებოდა. მეტი არაფერი მინახვს და ნანახი კიდეც გადამავიწყდებოდა, რომ მეორე დილას ამ ფარებში ოცი ცხვრის და კრავის გვამი არ ენახათ და მათ ახლო კარგად ნაცნობი კვალი.

მხოლოდ ერთი კაცი — დორტლეი ამ სისხლის მამელი მელიას თავდაცემისაგან უზრუნველყოფილი იყო. ეს იმიტომ იყო გასაკვირალი, რომ ირგვლივ ყველა მისი მეზობელი დაზარალებული იყო; მისი ბინა „ეშმაკის ხერელიდან“ მხოლოდ ერთი მილით იყო დაცილებული. როგორც ეტყობა ერთგული უკლი იმ კუთხის ძალლებს სჯობნიდა. ყოველ ლამეს ის ცხვრებს სწრაფ მორეკავდა და არც ერთი არ აკლდა. თავგასულ მელიას რამდენიც არ უნდა ერბინა დორლეის ფერმის ახლო — მის ცხვრებს ვერაფერს დააკლებდა და თვითონაც ვული უნებელი რჩებოდა. ამ საარაკო ძალლს ყველა მორიდებით და პატივის ცემით ეპყრობოდა და ყველას საყარელი არსება შეიქმნებოდა ცოტა ლმობიერი ხასიათის რომ ყოფილიყო. ვული მხოლოდ თავის უფროსს დორლეის და მის უფროს ქალს გულდას შეეჩინა. გულდა სასიამოვნო გარეგნობის იყო. ის უფროს დიასახლისათ ითვლებოდა და ვულის აპეკუნი იყო. დანარჩენ ღვახის წევრებს ვული გაქირვებით იტანდა; გარეშე ადამიანები და ძალლები მასში სიძულვილის მეტს არაფერს იწვევდენ. ჩემი უკანასკნელი შეხევდრა მასთან მისი განსხვავებული ხასიათის მაგალითად გამოდგება. მე ბილიკზე მივდიოდი, რომელიც დორლეის ბინას უხვევდა. ვული იქვე კიბეზე იწვა. ჩემს მიახლოებისთანავე ის ადგა, თითქო მე არ დაუნახივარ, ათ ფეხის ნაბიჯზე გამისწრო და გადამელობა. ის ჩუმათ იდგა და შორეულ გორაკებს დაკვირვებით ათვალიერებდა — მისი მღელვარება ყაუზე დამდგარი ბალნით აშკარავდებოდა. როდესაც გავუთანასწორ-



დი, ის არ განძრეულა, მე მისი გაჯავრება არ მინდოდა — უკუნდებები აუზვიყ და წინსვლა განვაგრძე. უულიმ თავისი ადგილი მაშინ ნერ მიატოვა, კიდევ გამისწრო წინ და გზა გადამილობა. კიდევ მივუახლოვდი და წინანდებურათ გზა აუზვიყ, მაშინვე ხმა ამოულებლივ მარცხენა ფეხში მეტაკა. ჯოხის უქონლობის გამო დიდი ქვა ვეროლე, — ის განზე გავარდა, ქვა ვერდში ოხვედა და ხრამში გადაამორჩიკა. ვულიმ ერთი ყრუთ, გაბოროტებულად დაიღრინა, იქიდან ამოძერა და ბილიკს კოჭლობით გასცილდა.

უცელასთან გაბოროტებული ვული თავის ცხვრებს მოუქრებით და ლმობიერათ ეპყობოდა. მის შეუპოვარ გულადობაზე ბევრი ამბავი დადიოდა. რაიდენი ხრამში თუ გუბეში ჩავალდნილი ცხვარი აუცილებელ დალუპვას გადაურჩენია, რამ ღწევერ კრავი დახრინბას გადაურჩენია — მივარდებოდა და სწრაფ ფეხებზე დააყენებდა. ვერც ერთი არწივი კრავს ვერ მოჰპარავდა — თავისი გამჭრიახი თვალებით მის მოახლოვებას მაშინვე გაიგებდა და თავის ფარას თვავანწირულათ იცავდა.

III

მონსელის ფერმერები გააფრთხებულ მელიას ხარკს კვლავინდებურათ უხდიდენ. ბოლოს, დეკემბრის მიწურულში, როგორც იქნა თოვლი მოვიდა. საცოდავმა ქვრივმა ჯელტმა დიდი ზარალი ნახა. მან მთელი თავისი ფარი — იცი ცხვარი — დაკარგა. მეორე დილას ვანთიადისას შეჩვენებული მელიას დასაზევრავად მოელი სოფელი აიყრა, გამწარებული ფერმერები თოვებით ნახულ კვალზე თვავანწირულად მიბიჯებდენ იმ გადაზისვებილებით, რომ მათი მტარვალი უსათუოდ უნდა მოექცნაო. ცოტა მანძილზე თოვლს კვალი მკაფიოდ ემჩნევა, პაკრა მერე ცბიერი ნადირის კვალი მდინარესთან წყდება. ის დაყოლადა წყლის მიმდინარეობას და გაუყინა; მოუევში ჩამხრარიყო, მაგრას მეორე ნაპირზე მისი ნაკვარავი ვერ აღმოაჩინეს, და მხოლოდ ხანგრძლივი ძებნის შემდეგ $2\frac{1}{2}$ ვერსის მანძილზე, მდინარეს ზემოთ მიაკვლიეს ადგილს, საიდანაც ამოსულიყო. აქედან კვალს გენლეის ქვითკირის გალავანზე მიჰყავდა, სადაც თოვლი გამდნარიყო და აშეარა კვალს არ ტოვებდა. მაგრამ გამწარებულმა მონადირე ბმა გული არ გაიტეხს და ძებნა განაგრძეს. როდესაც კვალი გალავნიდან ღიღ გზაზე გადვიდა, რომელიც თოვლით

მოფენილი იყო, მონადირეების აზრი გაიყო — ზოგი უშმბობრივი და, რომ კვალი ზემოთ მიღის, სხვები კი ამტკიცებდენ, რომ გზის ქვემოთო. მაგრამ ჯომ მოწინააღმდეგე მხარეები შეარიგა და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ერთ ადგილს მიაკვლიეს, ხაიდანაც იგივე კვალი, — ზოგი ამბობდა უფრო დიდი, უცვევდა გზას — ფარებში მიღიოდა, მაგრავ იქაურ ცხვრებისათვის არაეითაზი ზიანი არ მიუყენებია და მერე ადამიანის კვალზე მიღიოდა. ზემოთ გორაკებზე და პირდაპირ დორლეის ფერმასთან ადიოდა. იმ დღეს დორლეის ცხვრები თოვლის გამო კარში არ გამოუშვათ და ვული თავის თანამდებობიდან თავისუფალი იქვე ფიცრებზე გაწოლილიყო და მზეზე თბებოდა. როგორც კი დაინახა მონადირეები, გულმოსულათ დაიღრინა და მიხვევულ გზით თავის ცხვრებთან წავიდა. ჯო გრეტორექსი მისგან დატოვებულ კვალს მიუახლოვდა, დაუკვირდა და გაშეშდა. ბოლოს გამოერკვა, მიუთითავულიზე და სთქვა:

— მებო, ჩვენ მელიას კვალს ვეძებდით და თითქო მის კვალს მივსდევდით და ნამდევილათ კი აი ვინ დაკლა ქვრივის ცხვრები! ზოგი დაეთანხმა მას და ზოგმა კი მეორე კვალი გაახსენა, რომელმაც მონადირეების აზრი გაყო და ურჩევდენ იმ კვალს გაყოლოდენ და ხელახლავ წყეული მელიას ძებნა დაეწყოთ. ამ დროს სახლიდან თვითონ დორლეი გამოვიდა.

„ — ტომ, — მიმართა ჯომ — შენმა ძალაშია წინა ღამით საცოდავ ქვრივს ოცი ცხვარი დაუკლა. რაც შეეხება ჩემ აზრს, — მე მგონია ეს პირველი ნადირობა არ არის.

— ხომ არ გადარეულხარ, მათ! უბასუხა გაკირებულმა ტომმა. ჩემს სიცოცხლეში უკეთესი დარაჯი არ მყოლია, ცხვრები გაგიუბით უყვარს.

მაგრავ ჯო თავის აზრს არ იცვლიდა.

მონადირეები სულ ტყუილად უმტკიცებდენ ტომს ვულის დანაშაულობას. ის დარწმუნებული იყო, რომ ამხანაგები შურით მოქმედობდენ და ამ თვალსაჩინო ძაღლის მოშორება უნდოდათ.

— ვული ყოველ ღამე სამზარეულოში წევს. იმას მხოლოდ ცხვრების სამწყესავათ ვუშვებთ, შენ გესმის, ჩემო კარგო, ვული მთელი ერთი წელიწადია ჩემს ცხვრებთან არის და ერთი ცხვარი არ დამკარგვია.

ტომი ნამეტანი ააღელვა ვულის ასეთ შესრულებულფას. ჯო და მისი ამხანაგებიც არა ნაკლებ ღელავდენ. საქმის გა-



მოსარკვევათ ტომის ქალიშვილი გულდა ჩაერია, რომელმა არ იმართება
თვისი გონიერი წინადაღებით მოწინააღმდეგე მხარეები დაა-
უმშანა.

— მამა, მე დღეს დამეს სამზარეულოში გავათევ:—
ვულის ვუყარაულებ; თუ გავიდა, ვული დამნაშავეა და, თუ
ვული მთელი ლამე სამზარეულოში დარჩა და მეზობლების
ცხვრები დაკლულნი აღმოჩნდნენ, მაშინ ჩვენი ძალლი არაფერ
შეუშია.

იმ საღამოს გულდამ სამზარეულოში სავარძელში მოიკალათა. ვული ჩვეულებრივათ მაგიდას ქვეშ მოთავსდა. შუალამისას ძალმა შუოთვა დაიწყო, მოუსცერნად ბორგავდა, ერთი ორჯერ კიდევ წამოდგა, გულდასკენ გაიხედა და ისევთავის საწილოს დაბრუნდა.

დამის ორ საათზე, როგორც ეტყობოდა, თავის ფარულ
წადილს ვეღარ სძლია, ჩუმათ ადგა, აიხედა დაბალ ფანჯრი-
დან, შემდეგ მძინარე ქალისაკენ გაიხედა. გულდა უნძრე-
ვლათ იწვა და წყნარათ სუნთქვდა, როგორც ძილში. ვული
მიუჟახლოვდა, უყნოსა და შიგ სახეში ჩასუნთქა, - გულდა
არ ინძრევოდა, მაშინ მან ცხვირიზ ოდნავ შეანძრია, დაკ-
ჭირა თავისი მახვილი ყურები და ქალის მშვიდ სახეს დაკ-
ვირევებით უყურებდა. გულდა მაინც არ ინძრეოდა. მაშინ
ვული უხმოთ მიეკიდა ფანჯარისთან, მაგიდაზე ფრთხილად
აძრა, ფანჯრის ჩარჩოს ქვეშ ცხვირი შეკო და კარგა მალლა
ასწია — ისე რომ გაძრომა არ გაძნელებოდა. ისე ხელოვნუ-
რად და უხმოდ გაძვრა, რომ დიდი ხნის გამოცდილება ეტ-
ყობოდა. ვული დამის წყვდიადში გაქრა.

გულდა ვულის გაკერვებით ადევნებდა თვალს. ცოტა
ხანი მოიცადა, რომ დარწმუნებულიყო, — ის მართლა წაკიდა
თუ არა, შემდეგ თავის საწოლიდან წამოდეა, რომ მაშისა-
თვის შეეტყობინებია, მაგრამ გაღაიფიქრა, სანამ ძალის და-
ნაშაულობაში არ დარწმუნდებოდა. ბევ-ი უყურა სიბრელე-
ში, მაგრამ ვული არ ჩნდა. გულდამ ცეკვებს შეუმატა და
ისევ დაწვა. საათზე მეტი იწვა და არ ეძინებოდა; ყურს უფ-
დებდა სამზარეულოს საათის სბაურობას, — და ყოველ ოდნავ
ფაჩუნზე კროხბოდა. ძალის დაგვიანება ძალიან უკვირდა,
„ჩვენი ვული მართლა ქვრივის ცხვრების მკლელია.“ აქ მას
გაახსენდა ვულის ლმობიერი მოპყრობა მათ ცხვრებთან და
მით უფრო უკვირდა.

გავიდა კიდევ ერთი საათი. ფანჯარასთან ხმაურობა მო-



ისმა, რომელმაც გულდა ააღელვა—მის გულს ბაგიშუები გა-
ჰქონდა. მალე ფანჯარა შეინძრა და ვული ისევ სამზარეუ-
ლოში გაინდა. მას არ დავიწყებია ფანჯრის ჩამოშევბა.

ცეცხლის მოციმციმე სინათლესთან გულდამ შენიშნა
ვულის სხვანარად გაბრწყინვებული თვალები და მისი ბამბა-
საფით გული ახალ სისხლში დასვრილი. ძაღლმა სუნთქვა შე-
იკრა და ქალიშვილს ჩაუკვირდა. მის ძილში რომ დარწმუნ-
და, დაწვა და პირის და თაოების ლოკვას შეუღდა. ხანდახან
ოდნავ წამოიღრინებდა, თითქო რაღაცას იგონებდა.

გულდა ჯოს სიმართლეში ნათლად დარწმუნდა. ქალი
უცებ გამოირკვა და მოისაზრა, რომ მას თვალწინ ძაღლი
კი არა—ის მონსალდის უცნაური მელია არის. ის უცებ წა-
მოხტა, ძაღლს პირდაპირ შეხედა და შეცყვირა: „უული, ვუ-
ლი, მაშ ეს შართალია—ოო, ვული, რა საშინელი მხეცი
ხარ!“

ეს საყვედური ისეთი მკაცრი ხმით იყო ნათქვამი, რომ
ვული ტყევი ნაცრავივით დაიხია. მან სასოწარკვეთილებით
გაიხედა დახურულ ფანჯრისაკენ, თვალები აენთო და ბალა-
ნი წამოებურდება; მაგრამ ქალის მკაცრმა შეხედვამ გააშეშა,
იქვე იატაჭე დაწვა, თითქო შენდობას სთხოვდა, თანდათა-
ნობით მიჩოჩავდა, თითქო გულდას ფეხის ლოკვა სურდა;
ის ძაღლიან ახლო მიხოვდა; მერე უცებ ვეფხის სიაფთრით,
მაგრამ ხმა ამოუღებლივ გულზე ეტაკა. ვულის ასეთი საქ-
ციელი მოუღოვნელი იყო, მაგრამ გულდამ დროზე ხელების
მიფარება მოასწრო და ვულის ბასრი კბილები მის ხელს ძვლამ-
დი ჩაესო.

— მიშველეთ, მიშველეთ, მამა! მამა! დაიყვირა ქალმა.
ვული მძმე არ იყო და უცებ გადაისროლა.

რადგან მისი საიდუმლო გამოაშკარავდა, ეჭვი არ იყო,
რომ ვული ქალს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლა.

— მამა, მამა! კიდევ გაისმა ქალის სასოწარკვეთილი
ხმა, როდესაც ცბიერი ძაღლი გულდას მოკვლას ცდილობდა;
კბენდა და სძიძგნიდა იმ ხელებს, რომელსაც არა ერთხელ
მიუცია მისთვის საჭმელი.

ტყუილად ცდილობდა ქალი მისგან განთავისუფლებას.
კიდევ წმიდა და ის ეცომდოდა მას ყელში. მაგრამ ამ დროს სამ-
ზარეულოში დორლეე შემოვარდა. ვულის დორლეეს თავი-
სებურად—ხმა ამოუღებლივ მიაშურა და ხელებზე კბენდა, სა-
ნამ დორლეემ ნაჯახის სასაკვდილოთ დარტყმით იქვე არ

დაგდო, მეორე დარტყმით თავი გაუტეოქა და ტვინზე დამოასხა იმ კერასთან, რომელსაც ვული ამდენი ხნის განმავლობაში ერთგულათ ემსახურებოდა და ყარალობდა. ვული, ჭვიანი, აფთარი, ერთგული, ცბიერი ვული უკანა-კნელათ გაიზმორა და სამუდამოთ მიყუჩია.

ଓ. ১৫





არტაბანის შესაწირავი.

სამოცვალი
გამოცვალი



ეფე იროდის დროს, როდესაც ბეთლემის ახლოს უბადრუქ გამოქვაბულში დაიბადა ძე ღვთისა, იესო ქრისტე, აღმოსავლეთის ქვეყნების ცაზე უცბათ განათლდა იქამდის უჩინარი ვეება ვარსკვლავი. ვარსკვლავი კაშკაშებდა, მკაფიოდ ანათებდა და შეუჩერებდლივ პირი იქით ჰქონდა, სადაც ურიასტანის ქვეყანა იყო. ვარსკვლავთა მრიცხველთ ანუ როგორც მათ

ხალხი უწოდებდა — მოგვთ არ გამოეპარათ ეს ახალი მნათობი. იმათი აზრით ეს ღვთისაგან იყო მოვლენილი საცნობლათ, რომ სადღაც დაიბადა, როგორც ურიასტანის წიგნებში იყო წინასწარ აღნიშნული, დიდებული მაცხოვარი, მხსნელი ქვეყნისა ბოროტებისაგან, ჰეშამარიტი გზის მაჩვენებელი. ზოგიერთამა, რომელთაც ღვთის სიმართლე სწამდათ და სწუხდენ რომ დედა-მიწაზე უსამართლობა მეფობს — გადასწყვიტეს წასული-ყვენ და მოექენათ ახლათ დაბადებული ძე ღვთისა, მუხლი მოედრიკათ მის წინ და მისი ნების აღმსრულებელნი გამხდა-ჭიყვენ. მაგრამ სად იპოვიდენ ყრმას, დანამდვილებით არ იცოდენ. იქნება შორი გზა ელოთ წინ, მაშინ მგზავრობაც საშიში იყო. ამიტომ ყველამ გადასწყვიტა მოგროვილიყვენ და ერთად ქარავანით გამგზავრებულიყვენ საითაც ვარსკვლავი გზას უჩევენებდა — ახლათ დაბადებულ დიდებულ მაცხოვრის საძებნელათ.

სხვა მოგვთა შორის თაყვანის ხაცემლათ გაემგზავრა დიდებული ბრძენი სპარსელი არტაბანი. მან გაჰყიდა სატახტო ქალაქში მამული, სახლ-კარი და აღებული ფულით იყიდა სამი ძვირფასი ქვა: საფირი, ლალი და მარგალიტი. ეს ძვირფასი თვლები დიდი განძი იყო, მის საფასურათ მისცა მთელი თავისი აუარებელი ქონება. ქვები ძალიან შვენოდენ. ერთის ელვარება მიეგვანებოდა ნათელ ღამეში ვარსკვლავებით მოჭედილს ლურჯ ცას. მეორე — დილის რიერაჟივით ალის-ფრათ ანათებდა, მესამე ისეთი სპეტაკი იყო რომ თეთრათ გადაპენტილ თოვლიან მთის მწერვალოს შეედარებოდა. არტაბანი ფიქრობდა, რომ ყველა ეს სიმდიდრე წრფელი გულით



და უანგარო შეუჩვალე სიყვარულით მიეძღვნა ახლათ ჭაბაზებული დებულ სიმართლის და სიკეთის ყრმა მეუფისთვის.

არტაბანმა უკანასკნელათ შეკრიბა თავისი მახლობელ-ნი უკვე გაყიდულ სახლში, გამოესალმა მათ და გაუდგა გზას.

დანიშნულ ადგილამდის, საღაც ყველა მგზავრებს თავი უნ-და მოეყარათ რამდენიმე დღის სავალი იყო, მაგრამ არტაბანს არ ეშინოდა დაგვიანებისა, მისი ბედაური ღონიერი, ფხიზე-ლი იყო, გასავლელი გზა სწორეთ ჰქონდა გამოანგარიშებუ-ლი. უკანასკნელ დღეს მას ჰქონდა გასავლელი რამდენიმე ათეული ვერსი და დანიშნულ ადგილას რომ დღიურ მი-სულიყო, უნდა მთელი ლამე ვვლო. მისი ერთგული ბედაური მხნეთ და თავამოდებით ატარებდა მხედარს. ლამის ნიავი სი-გრილეს არ აკლებდა. ცის სივრცეში, როგორც ნათელი ლამ-პარი ხატის წინაშე, ანათებდა ბედის მომასწავებელი ვარ-სკვლავი.

— ეს ვარსკვლავი ლვთის ნიშანია, ამბობდა ის თავის-თვის და თან თვალს არ აშორებდა მნათობს.—ღიდებული მაცხოვარი ციდან ჩამოდის და მე, ლვთაებავ, მალე გიხილავ! გასწი ჩემო მეგობარო! აუჩქარე ნაბიჯი!—ამხნევებდა ის თა-ვის რაშს და თან ალერსით ფაფარზე ხელს უსვამდა.

ბედაური მართლაც სიარულს უმატებდა, მისი ნალები ხმაურობდა გზაზე. პალმის ტყეში სიბნელე ცოტ-ცოტათ იფანტებოდა. ზოგ ადგილას მოისმოდა ახლათ გადაკიძებულ ფრინველების ქრიამული, განთიადი ახლოვდებოდა. ცხენი ერთბაშათ შედგა, დაიხვიხვინა, უკან დაიწია, არტაბანმა გაი-ხდა, გზას დააკერდა და თითქმის ცხენის ფეხებთან დაინა-ხა გაშელართული კაცი.

არტაბანი საჩქაროთ ჩამოხტა ცხენიდან, მიუახლოვდა შწოლარეს და დააკერდა. ის მოხუცი ურია იყო, საშინელი ციებისაგან ლონე მიხდილი; ისეთი შეხელულობა ჰქონდა, რომ ხან და ხან რომ არ ამოკენესა, მკვდარი გეგონებოდათ.

არტაბანი ჩაფიქრდა: გვერდი აურო, გავეშერო ამხანა-გებთან, მიგატოვო ავათმყოფი—სინიდისი ნებას არ მომცემს. რომ დაერჩე ურიასთან, ავაყენო, მოვასურიელო—ამას ბევ-რი დრო დასჭირდება, მგზავრებს დანიშნულ ადგილას ველარ მივუსწრობ და უჩემოთ წავლენ.

— რა ვქნა! ეკითხებოდა თავის თავს არტაბანი.—რაც გახდეს-წავალ, გადასწყვიტა მან და ფეხი უკვე უზანგში გაუ-ყარა, მაგრამ ამ დროს ავათმყოფმა თითქოს იგრძნო, რომ

უკანასკნელ შველას ჰქარგავს, ისე ღრმათ ამოიკვნეს შესარტოში უდიდეს კვნესა მოგვს შიგ გულში ეცა.

— დიდებულო ღმერთო, შებლავლა ჩან, ხომ იცი ჩემი წადილი, ხომ იცი რომ შენკენ მოვილტვი. დამაყნე სწორ გზაზე. ჩემ გულში ღვივის შენი სიყვარული, მაგრამ ვერ აუგ-ლი გვერდზე ამ უბედურ ურიას, უნდა მივეშველო.

ამ სიტყვებით მოგვი მიუხსლოვდა ავათმყოფს, გაუხსნა ტანისამოსი, მახლობელ წყაროდან მოუტანა წყალი, პირზე და სიცებისაგან გამმარ ტუჩებზე შეასხა, ამოილო აბგიდან რაღაც წამლები, გაურია ღვინოში და ავათმყოფს ჩაასხა პირ-ში, დაუზილა ხელები, გული. ასუნებინა სპირტი და ასე რამ-დენიმე საათი გაატარა ურიასთან. კარგა გათვენებული იყო, მხე უკვე მაღლა მოჩანდა, შეა დღე ახლოვდებოდა, რომ ურია გონს მოვიდა, ფეხზე წამოდგა. მან არ იცოდა როგორ გადაეხადნა მადლობა ამ უცნობ კაცისთვის.

— ვინა ხარ, მითხარ, ჰეკითხავდა ურია არტაბანს,—მე და ჩემმა ცოლშვილმა ვინ შევავედროთ ღმერთს! რათ ხარ აგრე მოწყენილი, მითხარ რა ნაღველი გაწუხებს?

არტაბანშა მწუხარებით უამბო ვინ არის და ან სად მი-დის, მაგრამ ახლა უსათუოთ დაუგვიანდა კიდეც.

— ჩემი ამხანაგები არ მომიცდიდენ, წავიდოთ ინ, ამბობ-და ის ნაღვლიანათ—მე ვერ მივაგნებ, ვერ ივისრულებ ჩემს წადილს, ვერ ვიხილავ მაცხოვარს.

ურიას სახე სიხარულით გაუბრწყინდა.—ნუ ნაღვლობ, ჩემო კეთილის მყოფელო, მე ცოტა ოდნათ შემიძლიან გადა-გიხადო შენი სიკეთო. ჩემ საღვთო რჯულის წიგნებში სწრიო, რომ ღვთისაგან გამოგზავნილი იქსო მაცხოვარი დაიბადება ქალაქ ბეთლემეს. რა ვუყოთ, რომ შენი მეგობრები წა-სული იქნებიან. შენ პირდაპირ ბეთლემს წადი, თუ უფლის ცხებული დაიბადა, შენ მას იქ ნახავ.

ურია გამოეხოვა, ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლო-ბა და გასწიო თავის გზაზე. არტაბანი დაბრუნდა თავის სახლში. ის ფიქრშიაც არ გაიტარებდა რომ უდაბნო ადგილები მარტო გაევლო, უნდა ეყიდნა აქლემები, თან წაეყვანა მოსამსახუ-რები საჭელ-სასმელით—გზის საგზალით. ამას მოანდომა მთელი კვირა, გაყიდა თავისი ერთი ძვირფასი თვალი, მაგრამ ეს არ აწუხებდა, მას ხომ კიდევ ორი ძვირფასი თვალი დარ-ჩა. საქმე იმაში იყო რომ უგვიანდებოდა მაცხოვრის ხილვა, მოსამსახურეებს აჩქარებდა, ისწრაფოდა წასვლას, ეს არის



მიუახლოვდა ბეთლემს. გამტკრიანებული, მოღალული, მუშავე ცული, მაგრამ მეტათ ბეღნიერი და მხიარული მივიდა ერთ ხახლთან, სწრაფათ შევიდა შივ და დაუწყო დიასახლის გამოკითხვა,—ბეთლემს ხომ არ გამოუვლიათ აღმოსავლეთიდან მგზავრებს, სად წავიდენ, ან ახლა სად უნდა იყვნენ?

დიასახლისი ახალგაზრდა დედაკაცი იყო, შვილს ძუძუს აწოვებდა. ჯერ შეკრთა უცხო კაცი რომ დაინახა, მერე-დამშვიდდა და უამბო, რომ რამდენიმე დღის წინათ ვიღაც უცხოელები მოვიდნენ, მოქებნეს ნაზარეველი მარიამი, მის პატარა იქსოს ძეირფასი საჩუქრები მიუძღვნეს. მერე სად წავიდენ ის მგზავრები, არ იცოდა. იმ ღამესვე მარიამმა იქსოთი და იოსებმა ბეთლემი მიატოვეს.

— ხალხი ამბობს, რომ ევგიპტეში წავიდენ. ვითომ ღმერთს სიზმარში იოსებისთვის ებრძანებინოს, რომ საჩქაროთ წასულიყვნენ აქედან.

სანამ დედა ლაპარაკობდა ბავშს ტკბილათ ჩაეძინა. მას უმანკო და შშენიერ სახეზე უკრთოდა წრთველი ღიმილი. არტაბანს ჯერ არ ეფიქრნა, როგორ მოიქცეს, რომ ერთბაზათ ქუჩიდან მოისმა საშინელი ღრიანცელი, მხეცური ყვირილი, იარაღის ჩერიალი და დედაკაცების გულ მოსაკვლავი ტირილი. ისინი ნახევრათ შიშვლები, შიშით თავზარ დაცემულნი გარბოდენ უგზო უკვლოთ თავინათი ძუძუ მაწვარი შვილებით და თან ბრაოლენ: „უშველეთ თავს, იროვის ლაშ-ქარი ჩვენ შვილებს ხოცავს.“

ახალგაზრდა დედაკაცის სახეს მქვდრის ფერი დაედო, თვალები აუბრიალდა, მძინარე უსუსური ბავში გულში ჩაი-კრა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა: — უშველე, უშველე ჩემს შვილს და ღმერთი შენ გიშველის.

არტაბანი მიგარდა კარებს. შემოსავალში უკვე იდგა ლაშქრის უფროსი. მის უკან მოჩანდა ჯარის კაცების მხეცური სახეები, უმანკო ბავშვების სისხლით მოსერილ მახვილებით. არტაბანმა უნებურათ ხელი უბისაკენ გაიწვდინა, საჩქაროთ ამოილო პარკიდან ძეირფასი ქვა და მიართვა. ლაშქრის უფროსს.

— წაიღე ეს ქვა და გასწი აქედან. თავი დაანებე ამ დედაკაცს და მის ბავშს.

მას თავის დღეში არ ენახა ამისთანა ძეირფასი ქვა, ხარბათ ხელიდან გამოსტაცა და მოაშორა თავისი ჯარის კაცები. ისინი ახლა სხვაგან წავიდენ, რომ იქ განეგრძოთ საში-

ნელი სისხლის ღვრა. ყვაწვილი დედაკაცი კი არტაბანის მუხლებზე დაეცა და გულიდან ამონაკვნესი ხმით უთხრა:— ღმერთმა დაგლოცოს ჩემი შვილის გადარჩენისათვის. შენ ეძებ სიმართლის, სათნოების და სიყვარულის მეუფეს— მაცხოვარს. დექ, ნათელი მოგვინოს მისმა წმინდა ხატებამ და გიმზიროს ისეთივე სიყვარულით, როგორი სიყვარულითაც მე შენ გიყურებ.

არტაბანმა ფრთხილათ წამოაყენა ფეხზე დედაკაცი და სიხარულის და თანაც ნაღვლის ცრემლები ჩამოსდიოდა ლოკებზე. „ძე ღვთისავ, მაპატიე! ამ დედაკაცის და მისი შვილის გულისთვის შენ შემოსაწირადათ დანიშნული განძი სხვას მივეცი. ნეტავი ვნახავ როდისმე შენ ხატებას? ახლაც დამიგვიანდა შენი ხილვა. გაგყვები, მაცხოვარო, ეგვიპტეში.

დღი ხანს, დღი ხანს ეძებდა მოგვი უფლის ცხებულს. ბეჭრი ქვეყნები გადაიარა, ბეჭრი სხვა და სხვა ხალხი ნახა. მაგრამ მაცხოვარი კი ვერ იპოვა. გული ეთუთქებოდა, ცხარე ცრემლებით ტიროდა; ღმერთო ჩემო! ქვეყანაზე რამდენი ტანჯვა, ნაღველი და უბედურება! როდის დაღვება ის ღრუ, რომ შენ მოეშველო ხალხს!

აბა, სანამ თვითონ რას გა-აკეთებდა: სწამლობდა ავათმყოფებს, შეელოდა ღარიბებს იმ ფულით, რომელიც გადარჩენილი ჰქონდა პირველი ძეირფასი ქვის გაყიდვიდან. ნუგეშს სცემდა უბედურებს, პატრონობდა ციხეებში დამწყვდეულებს. ამ შრომაში წელიწადები ისე გარბოდენ, როგორც ფეიქრის დვი-შები ქსოვის დროს. უკანასკნელ განძს— მარგალიტს— სათუ-თად ინახავდა გულში, რომ ეს მაინც მიერთმია საჩუქრათ მაცხოვრისთვის, როდესაც მას იპოვიდა.

გაიარა ასე ოც და ცამეტმა წელიწადმა, რაც არტაბანმა მიატოვა სამშობლო. ის ძალზე მოიხარა წელში, თმები გაუ-თეთრდა, თვალები დაებლიტა, ხელ-ფეხი დაუსუსტდა, გულ-ში კი აღრინდელივით სიყვარული უღვიოდა მის მიმართ, ვი-საც ასე ამოდენა ხანს დაუღალვათ ეძებდა. მოხუცმა მოგვმა შეიტყო, რომ ურიასტანში გამოჩენდა ღვთისაგან ცხებული მეუფე იქსო, საოცარი საქმეების მომქმედი. თურმე მკვდრებს აცოცხლებს, ცოდვილებს, განდგომილებს და თავზედ ხელ აღ-ბულ ავზაკებს წმინდანათ აცცევს.

არტაბანის გული სიხარულით აღიგხო.— ახლა კი, ფიქ-რობდა იგი, — გიპოვი, სამსახურს გაგიშვ!

მივიდა არტაბანი ურიასტანში. მთელი ხალხი იერუსა-



ლიმისკენ მიეშურება სააღდგომოთ. იქ იყსო მაცხოველების წინასწარმეტველიც იქნება, რომლის ნახვა მოგვს ნატვრათ ჰქონდა გადაქცეული. აუარებელ მლოცვებთან ერთად არტაბანიკ მივიდა წმინდა ქალაქში. არტაბანი ხედავს, რომ ქუჩებში დიდი მოძრაობაა. ხალხი შეუჩერებლივ წინ მიდის, ყველა მირბის, ცლილობს ერთხანეთს გაასჭროს.

— სად მიეჩერება ხალხი? ჰკითხულობს არტაბანი.

— გოლგოთაზე! — ასე ეძახდენ ქალაქს გარეთ გორაქს.

— იქდღეს უნდა ჯვარს აცვან ორ ავაზაკთაგან ერთად იყსო ნაზარეველი, რომელიც თავის თავს უწოდებს ლვთის შვილს, ურიასტანის მეფეეს.

არტაბანი დაეცა მიწაზე და მწარეთ აქვითონდა.

— ახლაც დამიგვიანდა. არ მეღორსა, მაცხოვარო, შენი ხილვა. ვერც ღირსეულათ გემსახურე, მაგრამ იქნება ჯერ კიდევ არ დამგვიანებია. წავალ მის მტანჯველებთან, მუუტან ჩემ მარგალიტს, იქნება სიცოცხლე მიანიჭონ, აპატიონ, გაანთავისუფლონ.

წამოდგა არტაბანი ფეხზე და როგორც კი შეეძლო გაპყვა ხალხის ბრბოს. ერთ გზის შესახვევში მეომრებმა შეუკრეს გზა, ისინი მიათრევდენ ციხეში იშვიათი სილამაზის ქალს. მან შეასწრო თვალი მოგვს, ტანისამოსზე იცნო, რომ სპარსელი უნდა ყოფილიყო და სწვდა მას კალთაში. — შემიბრალე, გამანთავისუფლე — იხვეწებოდა საბრალო, — ჩენ ხომ ერთი ქვეყნიდან ვართ. მამა ჩემი სავაჭროთ მოვიდა, მეც თან მომიყვანა, მაგრამ ავათ გახდა და მოკვდა. ახლა უნდათ მამი ჩემის ვალებში გამყიდონ, სირცხვილი მომაყნონ. მიშველე, შეურაცყოფა ამაცდინე, გევედრები, დამიხსენ.

აკან კალდა მოხუცი მოგვი. ადრინდელივით აუტოკდა გული, იწყო ბრძოლა, ისე, როგორც ქალებში ურია რომ ნახა, როგორც ბეთლემში ყმაწვილების გაწყვეტის დროს. თავისი უკანასკნელი განძი შეინახოს მაცხოვრისთვის თუ მისცეს ამ უბედური ქალის გამოსასყიდლათ. ბოლოს ქალის სიბრალულმა დასძლია. არტაბანმა ამოიღო თავისი უკანასკნელი განძი — მარგალიტი და გადასცა ქალს. — დაიჭი, დაიხსენ ამითი თავი, შვილო! ოც და ცამეტი წელიწადი ვინახე ეს განძი მაცხოვრისთვის. სჩანს ღირსი არ ვიყავ მისი ხილვისა, რომ მიმერთმია ეს საჩუქარი.

სანამ არტაბანი ლაპარაკობდა ცა ერთიანათ ღრუბლებმა მოიცვა. ჩამობნელდა, მიწამ თითქოს ამოიოხრა — შეინძრა,

ატყდა ქუხილი, ცაზე გაიელვა, მოისმა საშინელი ქაჩქნები შეინძრა კედლები, დაიქცა სახლები, ქვები წვიმასავით წამოვიდა. ერთი დიდი კრამიტი მოსწყდა სახურავს და მოხუცს თავი გაუტეხა. ის მიწაზე ფერ წასული დაეცა, სისხლისაგან იცლებოდა. ქალი დაიკუზა, რომ მიშველებოდა. არტაბანმა ტუჩები შეანძრია, ჩურჩიულით რაღასაც ამბობდა, მრრე თვალები გაახილა, სიხარულით გაუბრწყინდა. სახეზე მოეფინ მშეიდი ღიმილი, თითქოს მომაკვდავი ვისმეს უხილავს ხედავდა და და მისთან საუბრობდა. ქალი მოგვს უფრო მიუახლოვდა და მოესმა როგორ იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ჩურჩიულით ამბობდა:


— მეუფევ, როდის იყო რომ გშიოდა და გაქამე? როდის იყო რომ გწყუბოდა და გასვი? უცხო იყავი და შეგიწყნარე? შიშველი იყავი და შეგმოსე? ოც და ცამეტი წელი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავდიოდი, გეძებდი და ვერ გიხილე, ვერ გაუწიე ჩემს მეუფეს სამსახური.

მოხუცი ჩაჩუმდა, გული უტოკავდა. ღრუბლები გაღიფანტა, გამოჩნდა მზის სხივი და მოგვს სახე გაუბრწყინდა. ნიავმა დაპერა, მომაკვდავის თმები შეშრიალდა და ამ ქარმა თითქოს საიდანლაც ალერსით სავსე ხმა მოაწვდინა: „ქეშმარიტათ გეტყვი რავდენი უყავ ერთსა ამას, მცირეთაგანსა მმათა ჩემთასა, იგი მე მიყავ!“

არტაბანს სახის გამომეტყველობა უცბათ შეეცვალა. ღილი სიმშვიდე, ნათელმოფენილი სიხარული ღაეტყო. ღრმათ ამოისუნთქა. მაღლობის ნიშანათ თვალები ცისკენ აღაპყრა და სამუზამოთ განუტევა სული. ამითი გათავდა მოხუცი მოგვის ხანგრძლივი მწირობა. არტაბანმა იპოვა ბოლოს ძელვთისა მაცხოვარი და მისი შესაწირავი მიღებული იყო.

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.



სარჩევი.

1919 წლ. ქურნალ „ჯეჯილისა“

ბატარების განეოფილება

ლ ე ჭ ს ე ბ ი	№	გვერდი
---------------	---	--------

ზამთარი, — გ. ქუჩიშვილისა	I	3
ცუგო და ფისო, — შიო მღვიმელისა		19
ნორჩი ყვავილის ამონაკენესი — გ. მ-სხულიასი		24
აქა, აქ! — გ. ქუჩიშვილისა	I—III—IV	3
ქიდაობა, — შიო მღვიმელისა	V—VI—VII	3
ავათაა გულნარ ქალი, — გრიშაშვილისა		24
ბაგშებს, — გ. ქუჩიშვილისა	VIII—IX	3
გიგლა და გოგია, — შიო მღვიმელისა		23
ციალა, — გ. ქუჩიშვილისა	X—XI	3
მელა, — შიო მღვიმელისა		27
* * საიუბილეო, — შიო მღვიმელისა	XII	3
პატარა შექუმულე, — დ. კასრაძისა		19

მოთხოვობები

ორიგინალური და ნათარგმნი.

ორი ლოკოკინა	I	4
საფრთხე (ფრანგულიდან), — ტასოსი		5
გაკვეთილს ვსწავლობდით!, — ან. წერეთლისა		21
ლიკლ-ტიკლის ეჭმაკობა, — თარგ. ტასოსი. I—8, II—III		
— IV—8, V—VI—VII—7, VIII—IX—10, X და XI	16	
რამ ათქვევინა ტყუილი! — ტასოსი	II—III—IV	4
მინდა ყველა გავაბეჭნიერო, — თარგ. ან. წერეთლისა		16
არწივის გონიერობა	V—VI—VII	4
დაუდრომელი მერცხალა, — (თარგ.) დაროსი		5
ალული კუდიანებსა, — ყ. ჩხეიძისა		26
ვინ ეტყოდა იმათ!	VIII—IX	4
ბანაობა, — მონადირის ნამბობი		5
რათ არ გავხდი მონადირე, — (თარგ.) ტასოსი		6
კენჭაობა, — თამარა მაჩაბლისა		26

ნაცარ ქათიბას ჩივილი,—ტასოსი	X—XI
ბავშები! — მოწოდება ან. წერეთლისა . . . XII	გიგანტის განაკვეთი
„ჯეჯილის“ ოცდაათი წლის შესრულება ეკ. გაბაშვილისა	7
ლულუ, — ამბავი ივ. გომართლისა	10

ბუნების მეფუველებიდან

ჭია-ლუების მტერი	II—III—IV 6
კოწო და მისი მმხანაგები, — თარგ. ან. წერე- თლისა	26
V—VI—VII—35, VIII—IX—39, X—XI 29	
რუხი ნუკრი, — (თარგ.) ტასოსი	V—VI—VII 30
სამხეცოში, — (თარგ.) მ. იაშვილი	X—XI . . . 6
შაქარი, — ამბავი ილ. ალხაზიშვილისა . . . XII . . .	25

პიესები

მზეთ უნახავი, — სამ მოქმ. ვ. გუნიასი . . . I—32, II—III IV — 35
--

იგავები ზღაპრები, ლეგენდები, ჩვენი და უცხოეთისა ტანტალი. ბერძ. მითოლ. — ალ. ფალავასი . I 26	
პელოპსი, — მისივე	30
პატარა ზღაპარი ერთ პატარა უპერანგო ყმა- წვილზე (თარგ. ტასოსი, V—VI—VII 6	
მშვენიერი დედოფალი გიულიზარი. — აქარუ-	
ლი ზღაპარი ეკ. გაბაშვილისა VIII—IX . 31	
ქარის ფრინველი, — ალფასი X—XI . . . 36	
მგელი და ლომი, — იგავი დუტუ მეგრელისა . XII . . . 32	

უფროსების განეოფილება

ლექსები

მწყემსი, — გ. ქუჩიშვილისა	II—III—IV 47
ქუჩის შვილი, — გ. ქუჩიშვილისა	V—VI—VII 45
თოლია, — შიო მღვიმელისა	VIII—IX . 44
ლოდინი ფრთოსნისა — შიო მღვიმელისა . .	X—XI . . . 38

მოთხოვები

კაპიტანი იანგარი, — დასას. ნ. შარაშიძისა . I 4	
ძველ კოშკში, — მ. იაშვილისა	II—III—IV 48
	V—VI—VII 63



მოგონება,—ი.	მკედლიშვილისა	გვ. 46	
ნაპარი სელმა ლაგერლეფისა,—თარგ. ელ.			
დემოლონ-წერეთლისა		49	
	VIII—IX	46	
ლტოლვილები,—ეკ. გაბაშვილისა		54	
პატარა ბოშა,—თარგ. ეკ. შესხისა		61	
	X—XI—55, XII—47		
შისს მარჯორი უორდოპის მოგონება,—ეკ.			
გაბაშვილისა		X—XI	51
შისს მარჯორი უორდოპი, ათი წლის გარდ.			
გამო—ან. წერეთლისა		50	
ძამია შეცხვარე, ინდიური მოთხრობა,—თარგ.			
ა. ფალავასი		XII	57
დანგრეული ოჯახი,—ეკ. გაბაშვილისა		33	
ბუნების მეტყველებიდან და სამეცნიერო სტატიები.			
ზღვის ფრინველები,—ილ. ალხაზიშვილისა . I		50	
ჩვენი დედამიწა,—ელ. ქიქინაძისა		60	
ტანგარჯიში,—გიორგი ნიკოლაძისა . . . II—III—IV		57	
ნახშირია ჩვენი ცხოვრება,—ილ. ალხაზიშვი-			
ლისა	XII	39	
ძილი,—ივ. თიკანაძისა		43	
იგავები, ზღაპრები, ლეგენდები ჩვენი და უცხოეთისა			
ინდიური იგავები	II—III—IV	63	
ირემი,—ალ ფალავასი	X—XI	43	
დატანჯული მნათობი,—ისტორიული ლეგენ.		46	
ისტორია და ბიოგრაფიები			
თეატრი მასწავლებელია,—გიორგი თუმანი-			
შვილისა	I	38	
სპარტაკი, —ისტ. მოთხ. დ. კასრაძისა		55	
	V—VI—VII—57, VII—IX—58		
ლუარსაბ ბოცვაძე,—ა. ა.	II—III—IV	60	
ვასილ ბარნოვი,—ან. ერისთავ-ხოშტარიასი . X—XI . .	40		
თავისუფალი საქართველო, —ივ. გორართლისა XII . .	60		
№ XII დაბეჭდილია ოც და ათი წლის აღსანიშნავათ თანა-მშრომლების სურათი დაცალკე—„წარსულთა ხსოვნა.“			